№ 2916
შაბათი
24 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2916
შაბათი
24 სექტემბერი

[illegible]: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

კონსტანცია სტანისლავის ასული, დეკანოზი ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილი და მეუღლე მისი ეკატერინე დიმიტრის ასული შვილებითურთ, ქვრივნი მარიამ ალექსის ასული თამარაშვილისა და ევა ალექსის ასული ქიტიაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორისა, მეხუთისა და მეექვსის ძმა, მესამისა მაზლი და დანარჩენების ბიძა

სტატსკი სოვეტნიკი თომა ალექსის ძე ტურიაშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 ს. პანასევიჩის ქ. № 34, გამოსვენება კვირას, 25 სექტემბერს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული
დრამატიული კურსები
ქართულ, სომხურ და რუსულს ენაზე
მიხეილის ქუჩაზე, № 128

ქართულ დრამატიულ კლასისთვის მასწავლებლად მოწვეულია ქართულ დრამატიულ დასის არტისტი ქ. დ. ყიფიანი.

მოწაფეთ იღებენ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. კურსების ბინაზე. კურსებთან საცდელი სცენაც არის.

(2—1) კურსების დამაარსებელი ს. მ. დოლუხანოვისა.

25 სექტემბერს 1905 წელს სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში, სასახლის ქუჩაზე გაიმართება
სეირნობა
საქველ-მოქმედო ბაზრითურთ
ქართველ ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათზე, გათავდება საღამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა. ბაღში იქნება საბავშვო გასართობი, უჩინმაჩინის ქუდი, ფოსტა, მკითხაობა და სურპრიზები.

თეატრის ფოიეში **ცეკვა**

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ. (5—უ.—4)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
ორშაბათს, 26 სექტემბერს, სეზონის დასაწყებად თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა
ღალატი
ისტ. დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თავ. სუმბათაშვილისა გრ. ყიფშიძის თარგმანი.
◆ ზეინაბის როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე ◆
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ა. ჯაყელი და სხვანი.
წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე
ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 50კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-მდე.
მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.
ემზადება წარმოსადგენად „ღვარი" დრ. 4 მოქ. „მარუხა"—„შიო თავადი"—„სულით ობოლნი" და სხ.
რეჟისორი ვალ. გუნია.

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
შადრევანში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც აქ ვაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—109)

საჭიროა
მასწავლებელი
„წერა-კითხვის საზოგადოების" სკოლისათვის, სოფ. დიდ-თონეთში. მასწავლებელს ექნება ბინა და თვეში 30 მან. მსურველმა უნდა მიმართოს „საზოგადოების" გამგეობას ტფილისში და წარადგინოს საჭირო დოკუმენტები. (2—უ.—2)

სენაკის მაზრის, სოფელ მარტვილის მცხოვრებნი და დ. ნოღაიდელის მოვაჭრენი საყოველთაოდ აცხადებენ, რომ 15 ამა წლის სექტემბრიდან ყოველ ხუთ-შაბათ-პარასკეობით დაბა
ნოღალევში მუდმივად დაარსდა
ბაზრობა,
სადაც გაიყიდება ყოველ-გვარი პირუტყვი და ადგილობრივი ნაწარმოები და ამისთვის სთხოვენ პატივცემულ საზოგადოებას, მყიდველთ და გამყიდველთ, იქონიონ მსვლელობა ბაზრობაზედ. (10—ნ.—9)

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის

ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა ენკენისთვის 25-ს კვირას, დილის ათ საათზე, ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება. განსახილველია:

1. არჩევანი გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგის და წევრთა.
2. არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა ა) სათავად-აზნაურო გიმნაზიისთვის და ბ) სათავად-აზნაურო გიმნაზიის ახალი შენობისთვის ვერაზე და
3. საკითხი სათავად-აზნაურო გიმნაზიის რეორგანიზაციისა. (2—ნ.—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 15.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
ა. ვ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. მგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ბ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგეობით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—9)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. ტელეფონი № 1056. (თვ.—828—24)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—368—7)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გაშინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 საათ. და საღამოთი 5—7 საათზე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—)3

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი.
გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, ხსამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე. (თვ. 80—8)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—24)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (80—14)

კბილის ექიმი
იოანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზის (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, [illegible] ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კირბელევის ქუჩ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—9)

სახელმწიფო სათათბირო და კავკასია

რუსეთის პროგრესიული საზოგადოებრივი ძალები შუაზე გაიყო. ერთი ნაწილი გადაჭრით უარსაა სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლობის გაგზავნაზე, მეორე, პირიქით, უკვე საარჩევნო აგიტაციას შეუდგა. ჩვენთვის, კავკასიელებისთვის, ამ საკითხს აქამომდე მხოლოდ შორეული ინტერესი ჰქონდა, რადგან დანამდვილებით არ ვიცოდით, მიიწვევდნენ კავკასიიდან სათათბიროს პირველ სესსიაზედვე წარმომადგენლებს თუ არა. ახლა დეპეშიდან ვიცით, რომ შიდა რუსეთთან ერთად კავკასიასაც ეძლევა უფლება თავიდანვე მონაწილე შეიქნეს სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობისა. ამიტომ ამ ჟამად ჩვენ წინ პრაქტიკული საკითხია: მივიღოთ თუ არა მონაწილეობა წარმომადგენლების არჩევანში.

ჩვენს გაზეთში ერთხელ და ორჯელ არა ყოფილა ნათქვამი, რომ სახელმწიფო სათათბირო არც თავის შედგენილობით და არც თავის უფლებებით არ შეესაბამება ხალხის მისწრაფებას. მაგრამ ამასთანავე ჩვენ ხშირად გვითქვამს ისიც, რომ შეუძლებელია, სახელმწიფო სათათბიროს ბუნება შეუცვლელი დარჩეს, რადგან იგი ბიუროკრატიულ წესწყობილებასაც ეწინააღმდეგება და დემოკრატიულსაც. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სახელმწიფო სათათბიროს პირველს სხდომაზედვე ცხადზე უცხადესი შეიქნება იმისი გამოურკვევლობა, ორსახიანობა და აუცილებელი გახდება ან სრული გაუქმება და ან ნამდვილ პარლამენტად გადაქცევა. რამდენადაც გამოირკვია ექვს აგვისტოს შემდეგ რუსეთის საზოგადოების სხვა და სხვა წრეების შეხედულობა, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სახელმწიფო სათათბიროს ეხლანდელი ხასიათი და ბუნება მეტად პატარა და უმნიშვნელო წრეს აკმაყოფილებს. მსხვილ მიწის მფლობელთა და კაპიტალისტთა ზოგიერთ წარმომადგენელს გარდა არავინ კმაყოფილი არ არის და არავინ არ ურიგდება ზნეობრივად ახალს დაწესებულებას. უმრავლესობა საზოგადოებრივის ძალებისა იმ აზრისაა, რომ რუსეთს ეხლა ჭეშმარიტად დემოკრატიული წარმომადგენლობითი დაწესებულება ესაჭიროება; გაცილებით უფრო სუსტია ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ძველის წესწყობილების აღდგენას ნატრობს, მაგრამ ისიც კი უფრო ძლიერია, ვიდრე ეხლანდელ სათათბიროს მომხრენი.

ეხლანდელ მმართველობის უმაღლესი წრეები, ე. ი. ბიუროკრატიაც კი, შესაძლოდ ვერა სცნობს, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბუნება თავიდანვე არ შეიცვალოს. როგორც გაზეთის „რიისკია ნოვოსტის" პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, ბიუროკრატია ორ ბანაკად გაიყო; ერთი იმ აზრისაა, სახელმწიფო სათათბიროს დამფუძნებელ კრების ფუნქციები უნდა მიეცესო, მეორე კი ფიქრობს, ისევ წინანდელი, ექვს აგვისტოს მანიფესტამდე არსებული წესი უნდა გამეფდესო. ამ მეორე ბანაკის ერთ-ერთს წარმომადგენელს მთელი პლანი შეუდგენია; ამ პლანით, ათი მილლიონი მანათი რომ დაიხარჯოს საარჩევნო აგიტაციისთვის, ისეთ წარმომადგენლებისაგან შემდგარი სახელმწიფო სათათბირო გაიხსნება იანვარში, რომელიც პირველს სხდომაზედვე სათათბიროს გაუქმებას და ძველ წესების შემოღებას მოითხოვსო.

ცხადია, სახელმწიფო სათათბირო იმ სახით, რა სახეც მიეცა იმას ექვს აგვისტოს კანონით, ხანგრძლივი არ იქნება. პირველ სხდომაზედვე აღიძრება საკითხი სათათბიროს გადაკეთების შესახებ და ან სრულიად გაუქმდება ის, ან ხელახალ არჩევნებს მოითხოვს ხალხის ნამდვილ დემოკრატიულ წარმომადგენლობის შესაქმნელად, რომელიც, თქმა არ უნდა, ყოვლის უწინარეს დამფუძნებელ კრების როლს შეასრულებს. ვინ გაიმარჯვებს სათათბიროს პირველ სხდომებზე, რეაქციონერები თუ პროგრესისტები (ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ), ეს ყოვლის უწინარეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უფრო მეტს უნარს გამოიჩენს ეხლანდელ არჩევნების დროს. საზოგადოების პროგრესიულმა ძალებმა რომ ბუტიაობა დაიწყონ, საარჩევნო ყუთებს თითონაც ზურგი შეაქციონ და სხვასაც დაუშალონ მოწინავე იდეალების მიმდევართა არჩევა, უეჭველია, გამარჯვება რეაქციას დარჩება. პირიქით, თუ ამ საზოგადოებამ ენერგიული მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და თავისი კანდიდატები გაატარა, დიდი საბუთი გვექნება, იმედიანად ვუცქიროთ მომავალს და რეაქციონერების მეცადინეობას დამარცხება ვუწინასწარმეტყველოთ.

ასეთს პირობებში, ჩვენ გვგონია, გონიერება მოითხოვს, რომ კავკასიამ ენერგიული მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო სათათბიროსთვის წარმომადგენლების არჩევნებში და ისეთი დეპუტატები გაგზავნოს, რომელნიც ხელს შეუწყობენ ამ დაწესებულების გადაქმნას დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებულს წარმომადგენლობად.

გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე" გუშინდელს ნომერში ეხება ამ საკითხს და საჭიროდ სცნობს, რომ კავკასიის საზოგადოებრივმა ძალებმა წამოაყენონ წინ საარჩევნო აგიტაციისთვის „საზოგადო კავკასიური პლატფორმა" და არა ეროვნული პროგრამები. ჩვენის აზრით, სახელმწიფო სათათბირო მარტოოდენ იმ მხრივ უნდა იქცევდეს ეხლა პროგრესსიულ ელემენტების ყურადღებას, რა მხრივაც იგი იმედს გვაძლევს, რომ მოწვეულ იქნება ახალი წარმომადგენლობითი დაწესებულება, დამყარებული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულს არჩევნებზე. ამიტომ ეხლანდელ არჩევნებისთვის არც ეროვნული პლატფორმაა საჭირო და არც კავკასიური; ეხლა ყველა ამომრჩეველი უნდა ჰგრძნობდეს, რომ ყოვლის უწინარეს საჭიროა წესიერი სისტემა არჩევნებისა და სხვა და სხვა თავისუფლებათა უზრუნველყოფა. რეალურის პროგრამების და პლატფორმების დრო მაშინ იქნება, როდესაც სახელმწიფო სათათბიროს ბუნება შეიცვლება და ახალი არჩევნები მოხდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ეხლანდელ სისტემით არჩეულ სახელმწიფო სათათბიროს სრულებით არ შეუძლიან დამფუძნებელ კრების როლი შეასრულოს: დამფუძნებელი კრება აუცილებლად წესიერად არჩეულის წარმომადგენლებისაგან უნდა შესდგებოდეს, სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა კი მხოლოდ იმდენად არ არის რეაქციონერობა, რამდენად ეს მონაწილეობა გამოწვეულია თვით ამ დაწესებულების გადაქმნისადმი მისწრაფებით.

Z.

უნივერსიტეტების ავტონომია

აგერ გადის თითქმის მეოთხედი საუკუნე, რაც რუსეთის უნივერსიტეტებს წყნარი ცხოვრება არ უნახავთ. წელიწადი არ გავიდოდა, რომ უნივერსიტეტებში არეულობა არ მომხდარიყო და ხელი არ შეეშალა სწავლის საქმისთვის. არეულობა უნივერსიტეტში გადაიქცა ხრონიკულ ავადმყოფობად, რომლის მორჩენაც შეეძლო მარტო დახელოვნებულ დოსტაქარს. საჭირო გახდა რადიკალური ოპერაცია, რომ უნივერსიტეტს შეესრულებინა პირნათლად თავისი წმიდა დანიშნულება. ბიუროკრატია ყურსაც არ იბერტყავდა და ძველებურად რეპრესიებით ებრძოდა ავადმყოფს, მაგრამ ავადმყოფობა ვერ მოარჩინა და უფრო გააძლიერა.

დადგა სხვა დრო. რუსეთმა გამოიღვიძა. სწავლა-განათლების სამინისტრო ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ აჰყოლოდა „ახალ აზრებს". მთლად დახავსებული იგი ცდილობდა თავი გაემართლებინა საზოგადოების წინაშე და თავის ცოდვებს საწყალ მოხელეებს თავს ახვევდა. იქნება მკითხველს ახსოვს ღირს-შესანიშნავი ცირკულიარი სწავლა-განათლების მინისტრისა, რომელიც გაიძახოდა, რომ სამინისტრო თავის დღეში წინააღმდეგი არ იყო საჭირო რეფორმებისა საშუალო სასწავლებლებში და ყურადღებით და დიდის მადლობით ისმენდა მცოდნე პირთა აზრსაო. ამას ამბობდა ცირკულიარში მინისტრი და თანაც გამოძიებას ნიშნავდა საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა შესახებ, რომელთაც გაბედეს და ხმა მაღლა დაჰკრეს ეხლანდელი საშუალო სკოლა.

რაც იყო, იყო. დრომ თავისი გაიტანა და სამინისტრო იძულებული გახდა გაეგონა მცოდნე პირთა ხმა უნივერსიტეტების შესახებ.

მარტო ნიჭიერი კალამი ასწერს იმ სისაძაგლეს და დაცემას, რომელშიაც ჩააგდო რუსეთის უნივერსიტეტები ბიუროკრატიულმა რეჟიმმა. უნივერსიტეტი—ტაძარი წმიდა მეცნიერებისა, გახდა უნიჭო პროფესორების დუქნად, სადაც ეს ვითომდა მეცნიერნი ჰყიდდნენ დამპალ საქონელს. უნივერსიტეტს დაეკარგა ის მომხიბლავი ძალა, რომელიც ჰქონდა ძველად, რომელიც მოკრძალებას უღვიძებდა გულში ყმაწვილ კაცობას და ცრემლებს აღვრინებდა მოხუცებულობას, როდესაც იგონებდნენ უნივერსიტეტში ყოფნის ნეტარ წლებს. ჩაჰქრა რუსეთის უნივერსიტეტებში მეცნიერების ლამპარი და აინთო მხრჩოლავი ჭრაქი. სათვალავში არ არის ჩასაგდები ორიოდ მეცნიერი, რომელთაც შეირჩინეს ღვთიური ნაპერწკალი და არ გაიჭვარტლნენ „ახალ მეცნიერების" შავის ჭვარტლით. ყველაზედ მეტად დახშულ ჰაერის აუტანლობას ჰგრძნობდა ყმაწვილ-კაცობა, რომლის გულშიაც ვერავითარმა ბნელმა ძალამ ვერ აღმოფხვრა მისწრაფება ჭეშმარიტებისა, კეთილისა და მშვენიერებისადმი. ბევრჯელ შეება თავის მხრჩობელს, მაგრამ ერთობა, სოლიდარობა არ შესწევდა გამარჯვებისათვის. გაურბოდნენ თავისივე ამხანაგები, გარყვნილი და დამონებულები საშინელის რეჟიმისაგან; გაურბოდნენ მასწავლებლები, ყურ-მოჭრილი ყმები ცირკულიარებისა. და მაშინ, როდესაც შეიძრა რუსეთი, ყველამ თავისუფლად სუნთქვის უფლება მოითხოვა, უნივერსიტეტებში ყველანი შეერთდნენ, მოსწავლენიც და მასწავლებელნიც, ერთის გრძნობით გაიმსჭვალნენ და მოითხოვეს, რომ უნივერსიტეტი, ტაძარი მეცნიერებისა, განთავისუფლებულიყო მოხელეების ჩირქიან ხელისაგან. იერიში ისეთი ძლიერი გამოდგა, რომ შეშინებულმა სამინისტრომ დაუთმო თავისუფლება, მისცა ავტონომია უნივერსიტეტებს.

დიახ, უნივერსიტეტებმა თავისუფლება მოიპოვეს, მაგრამ თავისუფლებამ საქმეს ვერ უშველა. დეპეშა მოსკოვიდან იუწყება, რომ მოსკოვის უნივერსიტეტი რექტორის განკარგულებით დაიხურაო.

ეს ამბავი დიდ-მნიშვნელოვანია. დედა რუსეთის უნივერსიტეტებისა, სადაც საუკეთესო ტრადიციები ჯერ კიდევ სავსებით არ იყო აღმოფხვრილი სიცოცხლის მომსპობ რეჟიმით, სადაც თავი მოუყრიათ საუკეთესო პროფესსორებს, სადაც რექტორად არჩეულ იქმნა ყველასათვის სასურველი კაცი, მაინც დაიხურა. რად? რამ შეუშალა ხელი? განა თავისუფლება არ არის საკმარისი, რომ უნივერსიტეტში სწავლა ნორმალურად დაიწყოს და გაგრძელდეს? ალბად, არ არის საკმარისი, თორემ მოსკოვის უნივერსიტეტში ყოველგვარი პირობა იყო დაწყნარებისა...

ჩ.

ერობების და ქალაქების მოღვაწეთა წარმომადგენლების კრება მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან *)

17 სექტემბერს კრების დაწყებისათანავე საზოგადოებას მოხსენდა იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც მოუვიდა ბიუროს ტფილისის ქალაქის მოურავისაგან. ბ-ნი ვერმიშევი ატყობინებდა ბიუროს, არ ძალგვიძს დაესწროთ კრებას იმ მიზეზით, რომ 29 აგვისტოს მომხდარ სისხლის ღვრის [გამო ყველა] ხმოსნებმა თავიანთ თანამდებობას თავი მია-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 2915.

ნებსო. ტფილისელი ხმოსნები სთხოვდნენ კრებას, გაარჩიონ საკითხი სახელმწიფო სათათბიროში ორის წარმომადგენელის გაგზავნის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა, მომავალ სახელმწიფო სათათბიროში წარდგენილ იყოს ორი წარმომადგენელი ტფილისიდან. კრებამ გამოსთქვა აგრეთვე მწუხარება 29 აგვისტოს მომხდარ ამბების შესახებ და გაჰკიცხა ამ საქციელის ჩამდენნი. კრებამ საჭიროდ სცნო ორ-ორი წარმომადგენელი იყოლიონ იმ ქალაქებმა, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 100 ათასზე ნაკლები არ არის.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა პროგრამა მოქალაქის და ადამიანის უფლებებისა. საყოველთაო არჩევნების უფლება, უფლება კანონმდებლობისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1. სრული და ყოველმხრივი განხორციელება სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა სამართლიან საფუძველზედ დამყარებული. ეს სავალდებულოა როგორც კერძო პირთათვის, ისე თვით მთავრობის წარმომადგენელთათვის, რომელნიც პასუხს აგებენ საერთო სამართლის წინაშე მოქალაქეებთან ერთად, თუ ვინიცობაა თავის მოქმედებით დაარღვევენ კანონს (მიღებულ იქმნა ერთხმად). 2. მიღებულ იქმნა სრული თანასწორობა როგორც მოქალაქობრივ, ისე პოლიტიკურ ისა რუსეთის ყველა მოქალაქისთვის; კერძოდ საჭიროა ძირითადი ცვლილება აწინდელ არა სრულ უფლებრივ გლეხთა და ჩაგრულ მდგომარეობისა და სხვათა. ამისათვის აუცილებელია: ა) გათანასწორება სოფლის მცხოვრებთა პირად უფლებებისა სხვა წოდებებთან; ბ) განთავისუფლება სოფლის მცხოვრებთა ადმინისტრაციის აპეკისაგან; გ) გაუქმება ერობის უფროსების ინსტიტუტისა. 3. პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა; თავისუფლება სინიდისისა და სარწმუნოებისა, თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა და კავშირებისა; თავისუფლება ერთის ადგილიდან მეორეში გადასვლ-გადმოსვლისა, პასპორტების გაუქმება; 4. დაარსება ხალხის წარმომადგენლობისა, რომელიც მიიღებს მონაწილეობას კანონმდებლობის უფლებით; 5.) სახალხო წარმომადგენელთა ორგანიზაციაში არ უნდა ხელმძღვანელობდნენ არც წოდებათა მოსაზრებით და არც, ეგრედ წოდებულ, წარმომადგენელთა ინტერესებით; ამ ორგანიზაციაში ხალხის წარმომადგენელთა არჩევნები უნდა მოხდეს საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით; 6. ამ წარმომადგენელთა საკრებულოსთან ერთად, რომელიც იქნება საყოველთაო და პირდაპირ კენჭის ყრით არჩეული, უნდა შესდგეს დემოკრატიულ საფუძველზე აგებული სხვა წარმომადგენლობა, რაიცა იქნება მთელის რუსეთის იმპერიის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზედ გავრცელებული. ორივე პალატა უნდა იყოს თანასწორ უფლებიანი. 7. სრული გამოყოფა სასამართლოსი ადმინისტრაციისაგან; მოსამართლეების გამოუცვლელობა; აღდგენა ამორჩეულ მოსამართლეთა ინსტიტუტისა; სასტიკად დაცულ უნდა იქნას ის დადგენილება, რომლითაც არ დაისჯება არავინ იმ დრომდე, ვიდრე არ იქნება დადგენილი სასამართლოს განაჩენი. აგრეთვე არ უნდა იყოს არავითარი ჯარიმის გადახდევინება, არავითარი შეზღუდვა უფლებისა განაჩენის დადგენილებამდინ, სიკვდილით დასჯა სამუდამოდ გაუქმებულ იქნას. 8. აღიარებულ იქნას, რომ არასოდეს არ შეიცვალოს ის ძირითადი კანონები, რომელიც შეეხება პიროვნების ხელშეუხებლობას და აგრეთვე ძირითად უფლებებს რუსეთის მოქალაქეებისას; გაუქმება ყველგან გაძლიერებულ დაცვის და საომარ დროის წესებისა; გაუქმება ომიანობის დროის წესით გასამართლებისა. სრული პატიება ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა; გაუქმება პოლიტიკურ დანაშაულობის გულისთვის რაიმე ჯარიმების დაკისრებისა ადმინისტრაციის მიერ და შეწყვეტილ იქმნას პოლიტიკურ დამნაშავეთა დევნა.

აღძრულ იქნა საკითხი ქალთა არჩევნების უფლების შესახებ. ვ. ნაბკოვმა წინადადება მისცა კრებას, რომ ეს საკითხი მიენდოთ გადასაწყვეტათ თვით მომავალ ხალხთა წარმომადგენლებისთვის. კრებამ დაადგინა, ეს საკითხი ამ კრებაზედ არა განეხილა.

საღამოს კრებაზედ დაადგინეს ჯერ-ჯერობით გადავიდოთ ეკონომიურ საკითხის გარჩევა და შესდგომოდნენ ეროვნულ საკითხს. ამ საკითხის შესახებ მოისმინეს ბიუროს მოხსენება, რომლის კითხვამაც დიდ ხანს გასტანა. მოხსენებაში ნათლად და საფუძვლიანად იყო დასაბუთებული ყველა მოტივი სხვა და სხვა ეროვნებისათვის უფლებათა მინიჭებისა და რუსეთის სახელმწიფოში ფედერატიულ წესწყობილების შემოღების შესახებ. მოხსენების ავტორებმა განმარტეს აწინდელი მდგომარეობა თითქმის ყველა ეროვნებისა და მოკლედ დაახასიათეს სასურველი მისწრაფება უმთავრეს ეროვნებისა რუსეთში. თავის აზრის დასასაბუთებლად ბიურომ გააცნო კრებას ის დადგენილებანი, რომელშიაც გამოიხატება მისწრაფება ამა თუ იმ ერისა; გააცნო დადგენილება ავტონომიურ და ფედერატიულ მოწესრიგების შესახებ პოლონეთში; წაიკითხა აგრეთვე ქუთაისის თავადაზნაურების მიერ შედგენილი ადრესი, მოლოროსთა პროგრამა და სხვა. ბიუროს მოხსენება კარგად არის დასაბუთებული. იგი ამბობს, რომ ყოველ მოქალაქეს სურს თავის ქვეყანაში იცხოვროს მშვიდად და კარგად, ეს კი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცენტრალური ძალა არ შეაწუხებს ადგილობრივ მცხოვრებთ. ცენტრალურმა ძალმომრეობამ არც ჩვენ დაგვტოვა უყურადღებოდ და თავისი კლანჭი მაგრა ჩაგვჭიდაო; საჭიროა მოვიშოროთ თავიდან ეს ჭირი, რისთვისაც უნდა გამოვარკვიოთ როგორ მოვეწყოთ და რა პირობებით ვიცხოვროთ. აი ამ აზრით არის საჭირო ავტონომია. იქ, სადაც ხალხი კარგად და მშვიდად სცხოვრობს, სეპარატისტული მისწრაფება არას დროს არ იჩენს ხოლმე თავს, პირიქით, ავტონომია აერთებს ხალხს, რაც ეხლა ჩვენთვის ძალიან და ძალიან საჭიროაო.

ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. გრაფი გეიდენი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ასეთ რთულ და ძნელ საგნის გადაწყვეტა შეუძლებელია ერთ ან ორ საათის განმავლობაში; ამას უნდა ბჭობა, ბაასი, მოსაზრება მთელის წლობითაო. კრებამ აქ მხოლოდ თავისი პრინციპიალური შეხედულობა უნდა გამოსთქვას და დაწვრილებითი გამორკვევა კი მომავლის საქმეაო.

ვ. მ. კაშკაროვი სხვა მხრივ შეეხო საგანს. იმისი აზრით, რუსეთში არსებობს ეროვნული და ავტონომიური საკითხი; სულ სხვაა ფედერალიზმი. არც ქალაქების დადგენილებებსა და არც ერობის მოხსენებებში არაფერია ნათქვამი ფედერაციაზედაო. კერძოთ პოლონეთზე სთქვა, ჩვენ მოვალეობას შეადგენს დავუბრუნოთ პოლონეთს ის, რაც მის წმინდათა-წმინდას შეადგენსო. პოლონელთა წარმომადგენელმა ვრუბლევსკიმ სთქვა: ჩვენ, პოლონელები გამოვცხადდით თავისუფალ მოაზრე რუსების მოწვევით და თუ ჩვენი საკითხი გადუწყვეტელი დარჩება, თუ აქ პირველად მოსულ პოლონელებს თანაგრძნობა არ გამოეცხადებათ, იძულებულნი იქნებიან გადასცენ გამომგზავნელთ, რომ თავისუფლად მოაზრე რუსეთს ან არა სურს მათთან ლაპარაკი ან ჭარ ძალუძსო. გრაფმა გეიდენმა უპასუხა, რომ თავისუფალ მოაზრე რუსეთს არა სურს უკუაგდოს ეს დიდ მნიშვნელოვანი საკითხი, პირიქით, იგი დიდის ყურადღებით და გულდასმით სცდილობს გადასწყვიტოს საქმე და ამიტომ უარ ჰყოფს ზეზეურად, $^3/_4$ საათში საქმის გათავებასაო.

როგორც გამოირკვა, ზოგნი იმის მომხრენი იყვნენ, რომ საერთოდ ყველა ერის შესახებ გადაეწყვიტათ საკითხი ეროვნულ თვით-გამორკვევის და ავტონომიის შესახებ, ზოგნი-კი მარტო პოლონეთის შესახებ თხოულობდნენ საქმის გადაწყვეტას. ბ-ნმა იზმაილოვმა სთქვა, რომ საკითხი უთუოდ საერთოდ უნდა დაისვას და ვრცლად განიხილოს კრებამ ბიუროს მიერ წამოყენებული თეზისები. საჭიროა იცოდეს ფინლიანდიამ, პოლონეთმა, კავკასიამ და სხვამ, სთვლიან მათ ღირსად ეროვნულ თვითგამორკვევისა და კულტურულ განვითარებისა, თუ არა. ეს გადაწყვეტა გავლენას იქონიებს მათ აღელვებულ მდგომარეობაზეო.

კენჭის ყრით კრებამ გადასწყვიტა, მუხლ-მუხლად განიხილოს ის თეზისები, რომელიც ბიურომ წარმოადგინა და ამასთან არ დაკმაყოფილდეს მარტო პოლონეთით.

კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

ილ. ხარსელა.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

◆ საქართველოს ექსარხოსმა მიიღო უწმ. სინოდის ცირკულიარი. იგი შეეხება **საეკლესიო საქმის მოწყობას**. ცირკულიარში მოხსენებულია განსახილველი საგნები. ეს საგნები აქ უნდა განიხილონ და შემდეგ მოხსენებანი გაეგზავნოს სინოდს. აი, თვით განსახილველი საკითხები: 1. რუსეთის გაყოფა ოლქებად მიტროპოლიტების გამგებლობით (განზრახულია სულ ოთხი ოლქი: ერთად კავკასია იქნება); 2. მრევლი და საეკლესიო საკუთრების შეძენა; 3. გაუმჯობესება სასულიერო სემინარიებისა; 4. საეპარქიო კრებები და 5. სამღვდელოების მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში და სარწმუნოებრივი საკითხები. ექსარხოსის განკარგულებით უკვე შესდგა კომისიები ამ საკითხების განსახილველათ. პირველ საკითხის განსახილველად შემდგარ კომისიაში არიან თავმჯდომარედ—ეპისკოპოსი ექვთიმე, წევრებად: მღვდ. ტყემალაძე, კონტრიძე, თალაკვაძე, ჯაში და სასინოდო კანტორის პროკურორი; მეორე საკითხისა: თავმჯდომარედ—მღვდ. გოროდცევი, წევრებად მღვდ. რაზუმოვი, ცინცაძე, გამრეკელი და მაჭარაშვილი. მესამე საკითხის გამო შესდგა ორი კომისია, ერთს მიენდო სასულიერო სემინარიის საქმე, მეორეს—სასულიერო სასწავლებლებისა; პირველ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა სემ. რექტორი, წევრებად: სემინარიის კორპორაცია, მღ. ჯიჯავაძე და ცინცაძე; მეორე კომისიის თავმჯდომარედ ტფ. სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, წევრებად: კორპორაცია, მღ. კონტრიძე და გამდლიშვილი. მეოთხე საკითხის კომისიის თავმჯდომარედ—მღ. შოშიაშვილი, წევრებად: მღ. თოთიბაძე, კაპანაძე და კატანოვი. მეორე საკითხისის თავმჯდომარედ—ოდოევი, წევრებად: მახათაძე, მღ. მიხაილოვსკი და სლაბოდიანოვი.

◆ სადახლოსა და ახტალას შუა საფოსტო მატარებელს, რომელიც ყარსიდან მოდიოდა, დაეცნენ **ვიღაც კაცები**. თავ-დამსხმელნი შევარდნილან საფოსტო ვაგონში, მოუკლავთ ფოსტალიონი და ფოსტის მოხელე, დაუჭრიათ ფულის ტომრები და ბლომა ფული წაუღიათ. თავ-დამსხმელნი დაიმალნენ.

◆ გორისა და დუშეთის მაზრებში საკანგებოდ გაგზავნილ თავად გრუზინსკისთვის სოფელ უფლის-ციხის **გლეხებს საჩივარი გადაუციათ მემამულეებზე** ადგილების ფლობის შესახებ. გლეხებს თავიანთ თხოვნაში აღუნიშნავთ აგრეთვე გადასახადების უზომოთ გაწერა და უთხოვნიათ შემწეობის აღმოჩენა და დახმარება ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

◆ **სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია:** რუსის მთავრობამ წინადადება მისცა ამ რამდენიმე წლის წინად ამერიკაში გადასახლებულ დუხაბორებს, დაბრუნდნენ კავკასიაში. დუხაბორებს ჰპირდებოდნენ: 1. უფასოდ გადმოყვანას ამერიკიდან რუსეთში; 2. სამჯელ მეტ ნადელს, ვიდრე ამერიკაში გადასახლებამდე ჰქონდათ და 3. სრულ თავისუფლებას სარწმუნოების საქმეში.

◆ როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, 11 სექტემბერს ბაქოში **მომხდარა მთავრობის საწინააღმდეგო კრება**. პოლიციამ რამდენიმე კაცი შეიპყრო. გენერალ-გუბერნატორმა გადაუწყვიტა საპყრობილეში დაპატიმრება: 18 კაცს—სამ-სამი თვით, 16 კაცს—ორ-ორი თვით და 27 კაცს—თითო თვით.

◆ საგუბერნიო მთავრობას ტფილისის გუბერნიის მომრიგებელ შუამავლებისაგან მოუთხოვნია დაწვრილებითი ცნობები **სახოფლო-სამეურნეო თანხების მდგომარეობის** შესახებ ამ მიმდინარე წელს.

◆ **ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი** ტფილისში ჩამოვიდა და „ორიანტ“-ის სასტუმროში ჩამოხტა. ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის ასრულება დაევალა ვიცე-გუბერნატორს ბ-ნ ყიფშიძეს.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ **სასულიერო ორგანოს** „საქართველოს სასულიერო უწყების“ საწარმოებლად შესდგა სარედაქციო კომისია სამის მღვდლისაგან. განახლებულის რედაქციით ჟურნალი უნდა გამოსულიყო ამ ცოტა ხანში. ჟურნალისთვის დამზადდა რამდენიმე წერილი ავტოკეფალიის და საზოგადოდ ქართულ ეკლესიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ექსარხოსის განკარგულებით ჟურნალი აღარ გამოვა.

◆ ივლისში იმერეთში **გაძარცვეს ქვემო ქვიტირის ეკლესია**. დაკარგული საეკლესიო ნივთები დღემდე ვერ იპოვნეს. ქვემო ქვიტირის მღვდელმა შეატყობინა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომ სოფლის ყრილ დამალა, 14 ენკენისთვემდე წარ დაკარგული ნივთები, წინააღმდეგ შემ ვაში სიკვდილს მიქადიანო. რასაკვირვე ადმინისტრაციამ ეს საქმე გამოიკვლი აღმოჩნდა, რომ ქვემო ქვიტირის მრე უკმაყოფილო იყო თავის მღვდელს მნათეზე იმის გამო, რომ ეკლესიას კარ ვერ უგდებდნენ ყურს, კარს კარგი და კეტი არა ჰქონდა და ქურდობაც ამა მოხდაო. ამის გამო დაკარგულ ნივთე ზღვევას სთხოვდნენ მღვდელსა და სი ლით-კი არ ემუქრებოდნენ.

◆ როგორც გვიგეთ, **ყვირილის ხა ნის, ფოსტის და ბანკის გაძარცვის** ცილებლად, ადმინისტრაციის განკარგულე ბით, სამხედრო დარაჯები დაუყენებიათ.

◆ ქუთაისის გუბერნიის **სამშენებლ განყოფილებას სვანეთის გზის გამოკვლევად გაგზავნილი** ჰყავს რამდენიმე ხნიკოსი. ზუგდიდის მაზრაში მუშაობა გ თავეს და ეხლა ლეჩხუმისაში გადავიდნ როგორც ამ ტეხნიკოსების მოხსენებიდ სჩანს, გზის გამოსაკვლევი მუშაობა ძა უნებურად უნდა შეჩერდეს და აი რა რემოების გამო: 15 ენკენისთვეს, რო ტეხნიკოსები სამუშაოდ ყოფილან, მათ ბ ნაკს დასცემია თავის ბრბოთი თულად ვარდნილი ვაჟა და ნივთიერად და ფულ წაუღია 700 მანეთის საღირალი. ამას გარ ვაჟას მუშაობა აუკრძალავს და შეუთვლია: ამ მოთხოვნილებას არ შეასრულებთ, სუ ერთიანად ამოგწყვეტავთო. თუმცა ადგილო ბრივი მცხოვრებნი და განსაკუთრებით ს ნები სწუხან, რომ გზის გამოკვლევის საქ შეფერხდება, მაგრამ მუქარით შეშინებუ მოხელეებს მუშაობისთვის თავი დაუნებ ბიათ.

◆ ყვირილელი ვაჭრები გუბერნატორ სთხოვენ, ნება მიეცეთ თავის ხარჯით და ქირაონ 15 დარაჯი ყვირილაში წესიერ ბის დასაცველად, ძარცვა-გლეჯის მოსა პობლად და სისუფთავის დასამყარებლად. ამასთან ხესტაფონელები თხოულობენ, რო გუბერნატორმა, სადაც ჯერ არს, ნებართ გამოუტანოს 15 ბერდანის და 15 რევოლვე რის შეძენისა.

◆ როგორც ვწერდით, მცირეწლოვან და მნაშავეთა **ახალშენის დირექტორი** მაღ ლაშვილი **უკვალოდ დაიკარგა**. მაღალ შვილი 21 სექტემბერს ჩამოსულა ტფილი სში. ამ დღიდან აღარა სჩანს. ამ ბოლ დროს მეტად გამწვავდა დამოკიდებულებ ახალშენის მოსამსახურეთა და დირექტორ შორის. ახალშენის საზოგადოების გამგე ბამ განიხილა ეს საქმე, უდანაშაულოდ სცნო დირექტორი და მოინდომა ზოგიერ მოსამსახურის დათხოვნა. ამის გამო დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა და, როგორც მაღალაშვილის სახლობა აცხადებს, წერილობითაც-კი ემუქრებოდნენ, თუ სამსახურს თავი არ დაანებე, კარგს დღეს არ დაგაყრითო.

◆ ტფილისში მცხოვრებმა ბერძნებმა შუამდგომლობა აღძრეს ნამესტნიკის წინაშე, ნება მიეცეთ დააარსონ კერძო ბერძნული გიმნაზია მთავრობის გიმნაზიის უფლებებით.

◆ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა კორხანიძემ შუამდგომლობა აღძრა, ნება დაერთოს გამოსცეს ტფილისში ბერძნულ ენაზე ყოველკვირეული გაზეთი „პრომეთეოსი“ და საბავშვო ჟურნალი — „საბავშვო ბიბლიოთეკა“.

ფელეტონი

კოოპერატიული წარმოება

კოოპერატიული, საამხანაგო წარმოება არსებითად განსხვავდება კაპიტალისტურ წარმოებისაგან. კოოპერატიულ, შეერთებულ წარმოების დროს საწარმოვო იარაღის პატრონები და მუშები ერთი და იგივე ადამიანები არიან; კაპიტალისტურ წარმოების დროს კი იარაღი დაშორებულია შრომისაგან, იარაღი ერთი ადამიანის ხელშია, შრომა, სამუშაო ძალა—მეორეს ხელში. კაპიტალისტური წარმოება დამყარებულია კონკურენციაზე, ჯიბრზე, კოოპერაცია კი—მოითხოვს შეთანხმებას და ერთობას. ხოლო ამავე დროს კოოპერაციას შეუძლია გამოიყენოს ყოველივე ღირსება მსხვილი წარმოებისა.

კოოპერატიული მოძრაობა პირველად დაიწყო ინგლისში წარსულ საუკუნის მეოცე წლებში. ინგლისის მაგალითს მიჰბაძეს სხვებმაც, მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ ყველგან შეჩერდა კოოპერატიული წარმოების განვითარება და განახლდა მხოლოდ უკანასკნელ წლებში. ხელ ახლა დაიბადა რწმენა, რომ მომხმარებელ და საწარმოვო კოოპერაციებს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს მუშა ხალხს და ხელი შეუწყოს მის გამარჯვებას სოციალურ-ეკონომიურ ბრძოლაში. დღეს კოოპერაციები ვითარდება ყველგან. ბელგიის მუშათა პარტიას თავის პროგრამაში აქვს მეტანილი მოწყობა კოოპერაციებისა, რომელთაც გარდა ქონებრივი დახმარებისა დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვთ. ასე საფრანგეთშიც, სადაც მუშები ისე თავგამოდებით იღვწიან ახლა ცნობილ კოოპე- არის დაყენებული კოოპერაციების საქმე ამერიკაში. დავასახელებთ ამერიკის რკინის გზის მუშათა კავშირის თავმჯდომარის დებსის პროექტს, რომელმაც განიზრახა ცალკე შტატის დაარსება, სადაც მთელი წარმოება კოოპერატიული უნდა ყოფილიყო. დანია და იტალია მოფენილია კოოპერაციებით. ავსტრალიის ახალი რესპუბლიკა ყოველ საშუალებას ხმარობს კოოპერატიულ წარმოების გასავითარებლად.

ყველგან არსდება მუშათა ასოციაციები სხვა და სხვა მიზნისთვის. პატარა სახელოსნო ამხანაგობასთან ერთად არსდება დიდი დემოკრატიული არტელები ღარიბ მუშებისა, არსდება უფრო რთული კავშირები სხვა და სხვა გვარი მუშებისა. არის ძველი, არისტოკრატიული კოოპერაციები, რომელთაც დიდი თანხები აქვს და რომელთა წევრთა რაოდენობა სასტიკად განსაზღვრულია, არის ახალი დემოკრატიული კოოპერაციები, რომელთა წევრობა შეუძლია ყველას, ვისაც კი მუშაობა უნდა. ზოგან, მაგალითად, ინგლისში სახელმწიფო ერთნაირ უფლებას აძლევს იჯარით გაცემის დროს როგორც მუშათა კოოპერაციებს, ისე კერძო მოიჯარადრეებს. ზოგან, საფრანგეთსა და იტალიაში, სახელმწიფო ცდილობს გაუადვილოს კოოპერაციებს იჯარის აღება. ახალზელანდიასა და ავსტრალიაში კი სახელმწიფო ავიწროებს კერძო მოიჯარადრეებს და ცდილობს, რომ ყველა თავისი სამუშაო გადასცეს კოოპერაციებს.

ეხლა გადავავლოთ თვალი, როგორ არის დაყენებული კოოპერატიული წარმოება ზოგიერთ ქვეყნებში. საფრანგეთში პირველი სერიოზული კოოპერაციები დაარსდა 1848 წ., როდესაც ვაჭრობის და მეურნეობის სამინისტროს მიეცა 3 მილიონის კრედიტი მუშათა მუდ იქნა კანონი სახელმწიფო იჯარების შესახებ. ამ კანონის ძალით საზოგადო სამუშაოთა მინისტრს შეეძლო გადაეცა სამუშაო მუშათა ამხანაგობისათვის, თუ სამუშაოს ფასი არ აღემატებოდა 20,000 ფრანკს, და არ დაენიშნა საჯარო ვაჭრობა იჯარის გასაცემად. გარდა ამისა, ვაჭრობის დროს, თუ ერთნაირ პირობებს წარმოადგენდნენ კერძო მოიჯარადრენი და მუშათა ამხანაგობანი, უპირატესობა ეძლეოდა უკანასკნელებს და ესენი განთავისუფლებულნი იყვნენ გირაოსაგან.

მაგრამ მეორე იმპერიის დაარსებამ ხელი შეუშალა კოოპერაციების განვითარებას, გააუქმა წინანდელი კანონი და დევნა დაუწყეს მუშათა კავშირებს. ასე იყო 1888 წლამდის, როდესაც გამოვიდა ახალი კანონი მუშათა ასოციაციების სასარგებლოდ. ამ წლიდან როგორც წინად, თუ იჯარის ფასი არ აღემატება 20,000-ს, სახელმწიფო სამუშაო შეიძლება პირდაპირ გადაეცეს მუშებს; თუ სამუშაოს ფასი არ აღემატება 50 ათასს, საჭირო არაა გირაოს წარმოდგენა და სხ.—სამუშაოს აძლევს კოოპერაციებს შინაგან საქმეთა, საზოგადო სამუშაოთა, სახალხო განათლების და სამხედრო სამინისტროები. განსაკუთრებით მეტი აქვთ სამუშაო კოოპერაციებს ქალაქებსა და სხვა საზოგადო დაწესებულებათაგან. საყურადღებოა, რომ კოოპერაციები უმეტესად სინდისიერად ასრულებენ აღებულ საქმეს. თვითონ მუშებისათვის კოოპერატიული წარმოება სასარგებლოა, რასაკვირველია, რადგან მათ რჩებათ ის ფული, რომელიც წინად მოიჯარადრეების ჯიბეში მიდიოდა.

დავასახელებთ რამდენიმე კოოპერაციას, როგორც არისტოკრატიულს, ისე დემოკრატიულს (ამ ჟამად საფრანგეთში ვითარდება მხოლოდ უმთავრესი ამხანაგობა. დაარსებულია 1866 წ., თანხა 2000 ფრანკი (ფრანკი $37^1/_2$ კაპ.) ჰქონდა. 1892 წ. ამხანაგობას ჰყავდა 78 წევრი, თანხა ჰქონდა 160,000 ფრანკი, სათადარიგო თანხა—30,000 და საპენსიო კასაში—60,000. წლიური წარმოება შეადგენდა 382.000 ფრ. და შემოსავალი—18,000 ფრანკი. გარდა წევრებისა, ამხანაგობას ჰყავდა დაქირავებული მუშები, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ მოგებაში.

„ოფიციალურ ჟურნალის“ ასოციაცია. დაარსებულია 1981 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ორგანოს გამოსაცემად. დაარსების დროს ამხანაგობაში 28 წევრი იყო, თანხა შეადგენდა 5.600 ფრ. და დაყოფილი იყო 50 ფრანკიან აქციებად. თითო წევრს არ შეეძლო 4 აქციაზე მეტი ჰქონოდა. ამხანაგობას ჰყავს 100—200 დაქირავებული მუშა. მოგება ნაწილდება ასე: 5%—სათადარიგო თანხას, 10%—საურთიერთო დახმარების კასას—5—10%—აქციების თანხას; 50%—პარიზის სასოამწყობთა სინდიკატის კასას, დანარჩენი 70—75% ნაწილდება მუშებს შორის, სულ ერთია დაქირავებული მუშაა, თუ აქციის პატრონი.

ლა-ვილეტის ხუროების ასოციაცია. დაარსებულია 1881 წ., თანხა ჰქონდა 30,000 ფ. წევრი იყო 133. გარდა წევრებისა ამხანაგობა სარგებლობს დაქირავებულ მუშებითაც, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ მოგებაში, მაგრამ დიდს სამუშაო ქირას ღებულობენ და დაზღვეულნი არიან ამხანაგობის ხარჯით.

ამხანაგობა მღებავთა „შრომა“. დაარსებულია 1882 წ. 1895 წელს წევრი ჰყავდა 23, თანხა შეადგენდა 25,000 ფრ. ამხანაგობა სარ- წარმოება 650,000 ფრ., მოგება—50—60,000 ფრ. მოგება ნაწილდება ასე: 5%—აქციებს, 10%—სათადარიგო თანხას, 30%—მუშებს, განურჩევლად იმისა, დაქირავებულია, თუ აქციის პატრონი, 20%—საპენსიო კასას, 10%—ხარჯი გამგეობისათვის, დანარჩენი კიდევ ნაწილდება ამხანაგობის წევრთა შორის.

ბუდლის ჩამომსხმელების კოოპერატიული საზოგადოება. დაარსდა 1892 წ. თანხა ჰქონდა 200.000 ფრ., დანაწილებული 50 ფრანკიან აქციებად. წლიური წარმოება უდრის 4 მილიონ ფრანკს. საზოგადოებას დაქირავებული მუშები არა ჰყავს, მაგრამ სიამოვნებით იღებს წევრად ყოველ მუშას (აქციის შეძენა შეიძლება ნაწილ-ნაწილად, ძალიან შეღავათიანის პირობით). მოგება ნაწილდება ასე: 5%—აქციებს, 10%—სათადარიგო თანხას, დანარჩენი—ყველა მუშებს.

შედარებით უკეთეს პირობებში გაჩნდა კოოპერაციები იტალიაში. კოოპერაციები დაარსდა იქ ამ 15—20 წლის განმავლობაში და თავიდანვე დემოკრატიული ხასიათი მიიღო. სახელმწიფოც ხელს უწყობს მათ განვითარებას, გამოცემულია იმგვარი კანონი, როგორიც საფრანგეთშია, რომელიც ძალიან უადვილებს მუშათა კავშირს სახელმწიფო იჯარის აღებას. იტალიის კოოპერაციების განსაკუთრებულ თვისებას ის შეადგენს, რომ მათი წევრები სულ უბრალო, ღარიბი მუშებია. კოოპერაციები მოკლებულია კარჩაკეტილობას. კოოპერაცია არ ცდილობს მარტო ადრე მიღებულ წევრების შესახებ, პირიქით, იმის მეცადინეობაშია, რომ რაც შეიძლება მეტს მუშას დაეხმაროს, მეტი ახალი წევრი მიიღოს. თუ სამუშაო არ ეყოფის ყველას, კოოპერაციის წევრები მუშაობენ მო-

◆ 9 სექტემბერს ს. ალანიდან ლანჩხუთში მიდიოდნენ ქალაქ ბათუმის პოლიციის მოხელე პაპკოვი, მისი ცოლის ძმა ჩხაიძე და ჩაფარი ასათიანი. საღამოს 6 საათზე **დაეცნენ ავაზაკები**. პაპკოვმა და ჩხაიძემ თავს უშველეს, ასათიანმა სროლა ასტეხა. პატარა ხანს შემდეგ ხელში დაიჭრა და ცხენიდან ჩამოვარდა. ავაზაკებმა წაართვეს ასათიანს რევოლვერი და პაპკოვის მიერ მიბარებული 100 მანეთი.

◆ როგორც გავიგეთ, **სენაკის მაზრის უფროსი** კაპიტანი რეზანოვი სამსახურს თავს ანებებს და სამხედრო უწყებაში გადადის.

◆ **სოხუმის ქალაქის თავი** ქალაქის საქმეების გამო პეტერბურგს გაიგზავნა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ **კახეთის თავად-აზნაურთა კრებამ** საადგილმამულო ბანკიდან მიღებული 9,000 მანეთი „კახეთის“ ამხანაგობას ასესხა. ამის გამო ერთ კახელ აზნაურს ივ. რჩეულიშვილს, გუბერნატორთან ქაღალდი შეუტანია. რჩეულიშვილი სთხოვს, გააუქმოს თავად-აზნაურობის დადგენილება, რადგან ამ საქმის გადაწყვეტაში მხოლოდ „კახეთის“ ამხანაგობის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. (ნ. ო.).

◆ სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგის გლეხებს თავიანთ შორის ამოურჩევიათ **არა კეთილ საიმედო პირნი და** მთავრობისთვის გადაუციათ უცხო ქვეყნებში გადასასახლებლად. საგუბერნიო მთავრობას საქმის გამოძიება მიუნდვია სამაზრო ადმინისტრაციისთვის. აღნიშნული პირები საპყრობილეში სხედან.

◆ გორის მაზრის სოფლებს კლდისთავსა, ლუბრმასა და ტკოცაში მცხოვრებ გლეხებს **შუამდგომლობა აღუძრავთ**, სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ფული მიეცეთ წყლის მილების გასაყვანად.

◆ **ექსარხოსის კანცელარიის გამგედ** ტროლინის მაგიერ, რომელიც რუსეთში გადაჰყავთ, როგორც გავიგეთ, ნიშნავენ იმის თანაშემწეს სოკოლოვს.

◆ საგუბერნიო სამშენებლო გამგეობამ ცვლილებით **დაამტკიცა პროექტი ნავთლუღში გასაყვან ელექტრონის** ტრამვაისა. მალე გზის კეთებას შეუდგებიან.

◆ **საგუბერნიო ექიმის თანაშემწე** ბროძელი დროებით დაინიშნა **თიანეთის მაზრის ექიმის თანამდებობის აღმასრულებლად**.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის საგანგებო საქმეთა მოხელე ბოიარსკი დაინიშნა პოლიციის **მეოთხე ნაწილის ბოქაულად**.

◆ **ნოვოროსიისკში გამოვა ახალი რუსული გაზეთი** „ჩერნომორსკი კრაი“. ნამესტნიკმა უკვე დართო ნება.

◆ კბილის ექიმს და ხირურგს ნევტონოვს კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო კბილის საექიმო **კურსების გახსნისა**.

◆ **რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში გენერალ-გუბერნატორობა იყო, მღვიმევის მონასტრის დასაცველად ორი პოლიციელი დანიშნეს.** ეხლა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დარაჯები მოაცილა მონასტერს; იღუმენიამ-კი ხელმეორედ ითხოვა, დარაჯებს ნუ წაიყვანთო.

◆ **ჯრუჭის მონასტერს** (ქუთ. გუბ.) აქამდის ორი პოლიციის დარაჯი ჰყავდა მცველად და ამ თვის 20 ერთის მეტი აღარ არის. როგორც შევიტყეთ, მეორე დარაჯს თითონ მონასტერი ქირაობს.

◆ თიანეთის მაზრის ზემო-თიანეთის სოფლის საზოგადოებას უთხოვნია სამაზრო ადმინისტრაციისთვის შუამდგომლობის გაწევა, რომ მათ სოფელში პირველ-დაწყებითი სკოლა დაარსდეს. გლეხები დაჰპირდებიან უფასოთ შენობის და სკოლის ბინის მიცემას.

◆ გორის მაზრის სოფელ შინდისში გლეხებს მოუთხოვნიათ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ექვსასი მანეთი და მიუღიათ კიდეც ეს ფული. ამ ფულით თორმეტი დესეტინა მიწა შეუძენიათ ფოლადგანდოფისთვის.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ უზუნდარის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე სესხის მიცემის შესახებ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან. ეს ფული თესლის შესაძენად უნდათ.

◆ იმ მეეტლეებს, რომელნიც გადასახადს არ იხდიან, ქალაქის საგარეო პოლიციის აგენტები ეტლებს ართმევენ და მუშაობის ნებას აღარ აძლევენ.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალოს გამგეობამ სთხოვა სამაზრო ადმინისტრაციას დროზედ მოკრიბოს მარტყოფის სამკურნალო ქსენონის შესანახი ფული.

◆ მთავრობის განკარგულებით, უკვე შეუდგნენ გორის ხიდის კეთებას.

◆ 15 სექტემბერს ს. ჩიტაწყალის (ქუთ. გუბერ.) მცხოვრებს ჯალაგანიას დაეცნენ ავაზაკები და ფული სთხოვეს. ფულზე რომ უარი უთხრა ჯალაგანიამ, ავაზაკებმა თითონ დაიწყეს ძებნა და იპოვეს ფულად 150 მ. და ვექსილებით 142. ჯალაგანია გაძალდა და ამის გამო მძარცველებმა 6-ჯერ ესროლეს და მძიმედ დასჭრეს და იმის გარდა ქალიშვილიც დაიჭრა. ჯალაგანიას სიტყვით, მძარცველები იყვნენ: 1. ჩიტაწყალის მცხოვრებნი ოთარ ნავეიშვილი და სამხედრო სამსახურიდან გამოქცეული პავლე გაგუა.

◆ 11 სექტემბერს ქალაქ ოზურგეთში რამდენიმე კაცი შეიპარა მარკოზ ღლონტის დუქანში და წაიღო ვექსილები და ფული 286 მანეთისა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისში 21 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, უცნობმა კაცმა რევოლვერი ესროლა მეძმარიაშვილს, რომელიც მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მალე სული დალია. როგორც ამბობენ, მეძმარიაშვილს დიდი ხანია ემუქრებოდნენ მოკვლას, როგორც ისეთ კაცს, რომელიც დიდი წინააღმდეგი იყო ეხლანდელი მოძრაობისა. რევოლვერი მეძმარიაშვილს უკანიდან ესროლეს; ტყვიამ გაიარა მსხვერპლის ტანი, მახლობლად მდგომ ქალს ფეხში მოჰხვდა და მსუბუქად დასჭრა.

◆ ამავე საღამოს, დაახლოვებით 10 საათზე, ქუთაისის კლუბის კარებთან მოჰკლეს ვ. წულუკიძე. მნახველი ამ მკვლელობისა ვერსად ნახეს, ხოლო ახლო-მახლო მცხოვრებნი ამბობენ, რომ რევოლვერი რამდენჯერმე გავარდა და ჩვენ შიშისაგან დავიმალენითო. როცა პოლიცია მივიდა კლუბთან, მოკლულ წულუკის ხელში ახალი დაცლილი რევოლვერი უპოვნეს. როგორც სჩანს, წულუკიძესაც უსვრია. მოკლულ წულუკიძის წარსულზე საეჭვო ხმები დადის ქალაქში. მკითხველის საყურადღებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მას ლორთქიფანიძესთან ერთად კულაშელ ებრაელთა გაძარცვა ჰბრალდებოდა. სამართალმა ბრალდებისაგან გაანთავისუფლა.

21 სექტემბერს გუბერნატორის სადგომში მოხდა კერძო კრება, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის გამგეობის წევრნი და ხმოსნები. გუბერნატორმა მიჰმართა დამსწრეთ მოკლე სიტყვით და აღნიშნა არა ნორმალური მდგომარეობა ქალაქისა, სადაც თითქმის ყოველ დღე ძარცვა-გლეჯა და ბოროტ-მოქმედება ხდება, და სთხოვა ქალაქის წარმომადგენელთ დახმარება. ამ საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად იქვე აღნიშნა გუბერნატორმა, რომ ძალა, რომელიც ადმინისტრაციის ხელთ არის, ბოროტებასთან საბრძოლველად მეტად სუსტიაო. ქუთაისის პოლიციას თურმე შეადგენს სამი ბოქაული, 4 უბნის ზედამხედველი და 47 პოლიციელი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ერთი ნაწილი პოლიციელებისა ისვენებს, როდესაც მეორე ქალაქს დარაჯობს, მაშინ ქალაქის მუდმივი ყურის მგდებელი 20—25 კაცს არ აღემატება. ქუთაისის ტერიტორია თითქმის 25 ოთხ-კუთხ ვერსს შეადგენს და ამ ნაირად ერთ ოთხ-კუთხ ვერსტს ქალაქისას ერთი დარაჯი ხვდება და ამისთანა ძალა წესიერებას ვერ დაიცავსო. ქალაქის წარმომადგენლებმა თითქმის ერთ ხმად აღიარეს, რომ პოლიცია მცირეა ეხლანდელ პირობებში წესიერების დასაცველად, თუმცა ამავე დროს ის გარემოებაც აღნიშნეს, რომ ქალაქს სიღარიბის გამო არას გზით არ შეუძლიან პოლიციის შენახვაზე მეტი ხარჯის გაღება, და ესეც რომ არ იყოს, პოლიციელთა რიცხვის მომატება საქმეს ვერ უშველისო. თუ მოქალაქეები თითონ არ იკისრებენ თავიანთ ქონებისა და პიროვნების დაცვას, პოლიციის საშუალებით ვერას გავხდებითო, ამიტომ საჭიროა, სთქვეს ქალაქის წარმომადგენლებმა, თვით მოქალაქეებმა გამოსძებნონ საშუალება ქალაქში ბოროტების მოსასპობლად. ამისათვის ნება მოგვეცით, შევკრიბოთ უბან-უბან მოქალაქეები და მაგ საგანზე მოველაპარაკოთო. გუბერნატორმა ამაზე თანხმობა გამოაცხადა. ქალაქის ხმოსნების აზრით, ვიდრე თვით მოქალაქეები არ დააწესებენ დღისა და ღამის დარაჯობას, წესიერების აღდგენა ეხლანდელ არეულობის დროს შეუძლებელია.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის ქალაქის გამგეობაში აღძრულა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქში დაარსდეს მცველების ინსტიტუტი, იმ პირობით-კი, რომ მცველები დამოკიდებულნი არ იყვნენ პოლიციისაგან და მათს მოვალეობას შეადგენდეს ქუჩებში წესიერებისა და სისუფთავის დაცვა. თუ ქუთაისის მემამულეებს აუტანელ ტვირთად არ დააწვება ხარჯი მცველების შენახვისა, ეს განზრახვა ქალაქის გამგეობისა დიდ გავლენას იქონიებს ქუთაისზე.

◆ „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ“ სთხოვა გუბერნატორს დასახელება იმისთანა მოხელისა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის აგენტობას გასწევს. გუბერნატორს დაუსახელებია ბ-ნი პეტრე ყიფიანი.

◆ ქუთაისის გუბერნიის საერობო სხდომები გათავდა. ჩვენ შევიტყეთ, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გადასცა თავად-აზნაურთა წინამძღოლს 450 მ. ეს ფული უნდა მიეცეს ერთ ჯგუფს გუბერნიის წარმომადგენლებისას, რომელთაც, როგორც ამას წინად გატყობინებდით, თავის ხარჯის ზღვევა ითხოვეს.

◆ ტფილისის სასინოდო კანტორის ხაზინადრის მიერ გაფლანგულ ფულიდან 45,000 მანეთი იმერეთის ეპარქიისა ყოფილა.

◆ გუშინ უკვე ვწერდით, გაძარცვა ქუჩაში ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი. ასეთი ამბები ძალიან გახშირდა აქ. ამას წინად აქაური რეალურ სასწავლებლის ხაზინადარმა დილის ათ საათზე ასიგნოვკები წაიღო ხაზინაში მასწავლებლების ჯამაგირის მისაღებათ. როცა ხაზინაში მივიდა, აღმოჩნდა, რომ ასიგნოვკები ხელ მოუწერელი იყო და ამის გამო ეტლით სასწავლებლისაკენ გამოეშურა. ოლდენბურგის ქუჩაზე, ბიბიკოვის სადგომის მახლობლად, ორმა კაცმა ეტლი გააჩერა და ფული სთხოვა. ეს დაინახა ბიბიკოვმა თავის სახლის ფანჯრიდან და რევოლვერი ესროლა. სროლამ შეაშინა ქურდ-ბაცაცები და მიიმალნენ.

რუსეთის ქრონიკა

საჩივარი პეტერბურგის გრადონაჩალნიკზე. სენატში საჩივარი შეუტანია პეტერბურგის გრადონაჩალნიკს გენერალ დედიულინზე. ეს საჩივარი გამოიწვია გრადონაჩალნიკის განკარგულებას, რომლითაც აუკრძალავს სალიტერატურო—სახელოვნო საზოგადოების თეატრში ჟდანოვის პიესის „Въ борьбѣ“-ს წარმოდგენა. თეატრი გრადონაჩალნიკს 600 მანეთის ზარალს უჩივის. (რაზ.).

რედაქტორის გადასახლება შორეულ გუბერნიაში. შეჩერებულ გაზეთ „სევერო-ზაპადნი კრაი“-ს რედაქტორ-გამომცემელი მოსოვსკი, რომელიც 30 ივნისს მინსკში შეიპყრეს, ამ თვის გასულს არხანგელის გუბერნიაში იგზავნება თურმე. (რუს.).

პოლიტიკური საქმე. ექიმების საზოგადო ყრილობაზე პიროგოვის მუზეუმში ამ წლის მაისს პოლიციის საიდუმლო აგენტს შეუნიშნავს ვიღაც დატკონი, რომელსაც სხდომაზე „მავნებელ ხასიათისა“ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოუთქვამს. ამის გამო დატკონი სამართალში მიუციათ. (სლ.).

საპოლიციო გაზეთი. შინაგან საქმეთა სამინისტრო განუზრახავს გამოსცეს პოლიციელთათვის განსაკუთრებული ყოველ დღიური გაზეთი. ამ გაზეთში მარტო პოლიციის შესახებ განკარგულებანი, ცირკულიარები, პროვინციების პოლიცმეისტერთა ბრძანებები, პოლიციის მოქმედების ამბები და სხ. საპოლიციო ცნობები იქნება მოთავსებული. ახალს გაზეთს იგივე ხასიათი ექნება პოლიციელთათვის, რაც „რუსკი ინვალიდ“-ს სამხედრო პირთათვის აქვს. ამ გაზეთის გამოსვლის შემდეგ უნდა დაიხუროს პეტერბურგის, მოსკოვის, ოდესის და ვარშავის პოლიციის უწყებები. (მ. გ.).

ორ საიდუმლო სტამბის საქმე. პეტერბურგში ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს ორ საიდუმლო სტამბის შესახებ, რომელიც ეხლა-ხან აღმოუჩენიათ პეტერბურგში. სამართალში მიცემულია 40 კაცი. ყველანი დაპატიმრებულნი არიან. რუსეთის საუკეთესო ვექილებს თანხმობა განუცხადებიათ დაიცვან ბრალდებულნი. (რ. ს.).

სოციალ-დემოკრატთა კომიტეტის საქმე. სექტემბრის გასულს ნოვოჩერკასის სამოსამართლო პალატაში, როგორც „სინ. ოტ.“ სწერს, გაირჩევა „დონის პირველ სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის“ საქმე.

ოდესის გენერალ-გუბერნატორის გამოსვლა სამსახურიდან. ხმაა, რომ ამ ცოტა ხანში ოდესის დროებითი გენერალ-გუბერნატორი გენერალი ყარანგოზიშვილი სამსახურს თავს ანებებს იმ ინციდენტის გამო, რომელიც შეემთხვა ოდესის საკარანტინო ოლქის გამგის ექიმ დამასკინთან. (სინ ოტ.).

გაქცევა. რამდენიმე კაცი, რომელთაც ერთ გემზე მომხდარ არეულობაში მონაწილეობა ჰბრალდებათ, ფინლიანდიაში გაიქცნენ. (ნ. ვ.).

ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობა. ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორს გრ. ბ. კუტაისოვს განმეორებით აღუძრავს შუამდგომლობა, რომ ადმინისტრატიულის წესით და სასამართლოს გადაწყვეტილებით მისდამი რწმუნებულ მხარეს გაგზავნილ პოლიტიკურ დამნაშავეთ უსათუოდ მიეცეთ ამნისტია. (რუს.).

პატრიოტული ლიგა. „რუსის სიტყვით“, არსდება „პატრიოტული ლიგა“, რომლის წევრადაც 100,000 კაცამდე ჩაწერილა თურმე.

პოლიტიკურ დამნაშავეთა გაპარება სატუსაღოდან. 6 სექტემბერს დილის 3 საათზე, რიგაში რამდენსამე შეიარაღებულ კაცს მიუდგამთ კიბე ადგილობრივ სატუსაღოს კედელზედ, გადასულან ეზოში, გაუტეხიათ კარები, გაუღიათ პატარა ფანჯარა, გაუკანიერებიათ იგი და გამოუყვანიათ სატუსაღოს ერთ ოთახიდან პოლიტიკურ საქმისათვის დატუსაღებული ორი კაცი. შემდეგ გაუღიათ სატუსაღოს მეორე ოთახი, ამგვარსავე დამნაშავე ნიკ. არღუთის გამოსაყვანად, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დათანხმებულა. სატუსაღოსთან მდგარ ზედამხედველისთვის აუღიათ იარაღი და რევოლვერით დაუჭრიათ. ამასობაში გაუგიათ და მოცვივნულან სხვა დარაჯ ზედამხედველები და დაუწყიათ სროლა, მაგრამ ყაჩაღები მიმალულან. ამ შეტაკებაში მომკვდარა ორი ზედამხედველი და დაჭრილა—სამი დარაჯი. (რაზ.).

სტუდენტის ფელდმანის ამბავი. რუსულ გაზეთების მიერ გადმოცემული ამბავი სევასტოპოლის სატუსაღოდან გაქცეულ სტუდენტის ფელდმანის დაჭერის შესახებ სიმართლეს მოკლებული გამოდგა. საზღვარ გარეთის გაზეთები სწერენ, რომ ფელდმანი ამ ჟამად შვეიცარიაში იმყოფება და ნოვო-გიორგიევსკში უთუოდ ვინმე იმისი მსგავსი იქნება დაჭერილი. ფელდმანის დაჭერამა და სიკვდილით დასჯის ხმამ ისე ძლიერ იმოქმედა თურმე იმის საცოლეზე, რომელიც შვეიცარიაში სწავლობდა, რომ მესამე სართულიდან გადავარდნილა და იმ წამსვე მომკვდარა. (რ. ვედ.).

მატროსების დასჯა. ის მატროსები, რომელნიც შენიშნულნი იყვნენ მატროსთა არეულობა-აჯანყებაში, მაგრამ იმათ წინააღმდეგ კი არავითარი საბუთი არ იყო, ასე დაუსჯიათ: გაუგზავნიათ ხუთის წლით ციმბირას სამხედრო სამსახურში და ამასთან ფლოტში სამსახურიც არ ჩაუთვლიათ. (ბირ. გაზ.).

სიკვდილით დასჯა ბოქაულის დამჭრისთვის. 1 სექტემბერს ნეჟინში სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე 20 წლის აბრამ ლანგოსი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა მოეკლა ნეჟინის პოლიციის ბოქაული კრუშინოვსკი, მაგრამ მსუბუქად დასჭრა. ლანგოს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. (ნ. ვ.).

ვარშავის გენერალ გუბერნატორის განკარგულებით, საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოწაფეებს საღამოს 8 საათის შემდეგ ქუჩებში გამოსვლა არ შეუძლიათ. (ად. ნოვ.).

კახეთის სამღვდელოებათა კრება

20 ენკენისთვეს თელავში, სასულიერო სასწავლებელში, დაიწყო თელავ-სიღნაღისა და თიანეთის მაზრების სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება. კრება საღამოთი დაიწყო, რადგან დილით საჭირო დეპუტატთა რიცხვი არ გამოცხადდა. ჯერ პარაკლისი გადაიხადეს. კრებაზე მოწვეული იყო 23 დეპუტატი. გამოცხადდა ნახევარზე მეტი. სიღნაღის მაზრიდან სამი იყო, ერთმა მათგანმა განაცხადა 4 დეპუტატის მაგივრად ვარო.

უპირველეს ყოვლისა თავმჯდომარე და მდივნები უნდა აერჩიათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, ვიდრე დროებით მაინც არ ამოირჩიეს თავმჯდომარე. ამან მოჰკითხა დეპუტატებს რწმუნების ქაღალდები; ქაღალდები ზოგმა წარადგინა, ზოგმა-კი არა, ჩვენის დადგენილების ძალით მოისპო ბლაღოჩინების თანამდებობა და ვისგან უნდა აგვეღო ქაღალდებიო. დაესწრნენ მღვდლებიც, სულ ოცდა ათამდე იქმნებოდნენ. ნახევარი საათი თავმჯდომარის და მდივნების ამორჩევას მოანდომეს. კრებას სამღვდელოების გარდა გარეშე პირნიც დაესწრნენ. ეს არაფრად მოეწონათ ზოგიერთ სულიერ მამათ და

რამ ერკის ყველას,—ამას ფიქრობენ იტალიის კოოპერაციები. არ აფასებენ მარტო ქონებრივ შემოსავალს, არამედ მეტს ყურადღებას აქცევენ თანხმობას და ერთობას. საწევრო ფული კოოპერაციაში შესასვლელად ძალიან ცოტაა და ისიც შეუძლიან მუშას გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად (კვირაში ერთი ფრანკი—37½ კ. ბ.) ხშირად ხდება, რომ როდესაც სამუშაო ყველას არ ყოფნის, უპირატესობას აძლევენ უფრო დაბაბებს და ცოლშვილიანებს. იშვიათი, მაგრამ მაინც დაქირავებული მუშა მუშაობს კოოპერაციაში, იგი იღებს დიდს ქირას და მონაწილეა მოგებისა. წმინდა მოგება საზოგადოდ ასე ნაწილდება: ნახევარი—სათადარიგო და საპენსიო თანხას, 5—15%—აქციებს, დანარჩენი—ყველა მუშას მუშაობის კვალობაზე. კოოპერაციის გამგეობა ასეა მოწყობილი: მიმდინარე საქმეებს განაგებს „საადმინისტრაციო საბჭო“ და მუშაობას უძღვება „სატეხნიკო კომიტეტი“.

ბუდრიოს ღვინურ მუშათა ამხანაგობა. დაარსდა 1885 წ. წევრი იყო 1953 კაცი. აქცია ღირს 24 ფრანკი, რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად—თვეში 16 კაპ. 1893 წ. აქციების თანხა შეადგენდა 22,000 ფრანკს, სათადარიგო თანხა 50,000 ფრ. სამუშაო ქირა ბევრად მეტი აქვს დანიშნული ამხანაგობას, ვიდრე კერძო მეწარმეებს.

მილანის ქვის მტეხელთა ამხანაგობა. დაარსებულია 1887 წ., წევრი ჰყავდა თავში 200, 1894 წ. კი—600. ამ წლის საქციო ფული იყო—30000 ფრ., სათადარიგო თანხა—16000 ფრ. და საპენსიო—18000 ფრ. გარდა ამისა ამხანაგობას ჰქონდა საკუთარი თავშესაფარი, 4500 ღირებული. ყოველ სამუშაოს ამხანაგობა საუკეთესოდ ასრულებს. მოგების 4—6%

10%—სატეხნიკო სკოლას, 10—სამუშაოს მოკლებულ მუშებს ან გაჭირვებულ წევრებს და 60—საპენსიო კასას.

რკინაზე მომუშავეთა ამხანაგობა სამპერდარენში. დაარსდა 1883 წ. საქციო თანხა შესდგა ნაწილ-ნაწილად. 1889 წ. ამხანაგობას ჰყავდა 800 წევრი, საქციო თანხა 108000 ფრ. სათადარიგო თანხა 32000, სახელოსნოები და იარაღები—136000 ფრ. ღირებული; წლიური წარმოება ამხანაგობისა უდრის 380000 ფრანკს.

გარდა ასეთ კოოპერაციებისა იტალიაში არსებობს შეერთებული კოოპერაციები, კოოპერაციების კავშირები. დავასახელებთ ერთს მათგანს, სახელდობრ „მილანის საწარმოვო ასოციაციების ფედერაციას“.

ფედერაცია დაარსდა 1891 წ. მისი მიზანია: 1) მოსპოს კოოპერაციების კონკურენცია, 2) ხელი შეუწყოს კოოპერაციებს სამუშაოს საშოვნელად, 3) მიიღოს და შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომლის შესრულება არ შეუძლია ცალკე კოოპერაციას, 4) დაიცვას თანხმობა და ერთობა ამხანაგობათა შორის და დაეხმაროს მათ რჩევით და დარიგებით.

ინგლისში თუმცა უფრო განვითარებულია ტრედ-უნიონები და მომხმარებელი ამხანაგობანი, მაგრამ საწარმოვო კოოპერაციებსაც საპატიო ადგილი უჭირავს. 1895 წ. ინგლისში იყო 172 საწარმოვო კოოპერაცია, რომელთა სახელოსნოებში მუშაობდა 8000 მუშა და ჰქონდათ წლიურად 40 მილ. ფრანკის საქონელი. გარდა ამისა წარმოებას მისდევს ბევრი მომხმარებელი კოოპერაცია (პურის გამოცხობა, ფეხსაცმელის გაკეთება და სხ.) მათ სახელოსნოებში კეთდება წლიწადში არა ნაკლებ 125 მილ. ფრანკის

[illegible] ამხანაგობანი, რომელნიც ამზადებენ წელიწადში 25 მილ. ფრ. საქონელს. ამრიგად სულ ინგლისის კოოპერაციები წელიწადში აკეთებენ 200 მილ. ფრანკის საქონელს და კოოპერაციებში მუშაობს 24000 მუშა.

ინგლისის კოოპერაციები ჰგავს საფრანგეთის „არისტოკრატიულ“ კოოპერაციებს—საჭიროა დიდი საწევრო ფული, ხოლო ამ ბოლო დროს დებულობს კოოპერატიული წარმოება დემოკრატიულ ხასიათს. განვიხილოთ რამდენიმე კოოპერაცია:

უოლისტონის საწარმოვო საზოგადოება. ამზადებს ფეხსაცმელებს. 1895 წ. ჰყავდა 51 წევრი, საქციო თანხა ჰქონდა 30000 ფრ. და სათადარიგო—2500 ფ., წლიური წარმოება—600,000 ფრ. ამხანაგობა სარგებლობს დაქირავებულ მუშებითაც, რომელთაც შედარებით დიდს ქირას აძლევს. წმინდა მოგება ნაწილდება ასე: 5%—აქციებს, 10%—სათადარიგო თანხას, 10—დამხმარებელ კასას, 10—სააღმზრდელო კასას, 20—გამგეობის შესანახად, 20—პრემიად იმ მომხმარებელ კოოპერაციებს, რომლებიც ყიდულობენ ამხანაგობის საქონელს, 10—დამატებითი დივიდენდი აქციებს და დანარჩენი—კოოპერატიულ აზრების გასავრცელებლად.

როუნდის საწარმოვო საზოგადოება. ესეც ფეხსაცმელებს ამზადებს. 1895 წლის დამდეგს ჰყავდა 30 წევრი, საქციო თანხა ჰქონდა 40000 ფრ. და სათადარიგო—12000. 1887—1895 წ. განმავლობაში სამხედრო სამინისტროსაგან აუღია იჯარა 2.160,000 ფრანკისა, წლიური წარმოება—400000 ფრანკია. მოგებიდან 15% აძლევს წევრებს, 5%—სათადარიგო თანხას, 5%—საქველმოქმედო საქმეებს და დანარჩენს 75% ურიგდება პრემიად ამხანაგობის მიერ

ნოტინგამის თერძების კოოპერატიული ამხანაგობა. დაარსდა 1892 წ. 1895 წ. ჰყავდა 145 წევრი. თითო წევრს არ შეუძლია 10 აქციაზე მეტი შეიძინოს. აქციის ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ ნაწილად (ყოველკვირეულად და ყოველთვიურად). წმინდა მოგების ნახევარი ეძლევა პრემიად მუშებს, დაქირავებულთა და წევრებს.

მანჩესტერის სისტემის კოოპერატიული ამხანაგობა. 1896 წ. ჰყავდა 626 წევრი, საქციო თანხა ჰქონდა 450,000 ფრ., სათადარიგო—125.000. წლიური წარმოება—1.700.000 ფრ. წმინდა მოგება, 5—10%-ის გამოკლების შემდეგ, ნაწილდება სამად: ერთი წილი ეძლევა კაპიტალს (დივიდენდი აქციებს), მეორე—შრომას (დივიდენდი მუშებს) და მესამე—მუშებს.

უკანასკნელ დრომდის სუსტად ვითარდებოდა ინგლისში კოოპერაციები, მაგრამ დღეს კარგად არის დაყენებული საქმე. კოოპერაციების განვითარებას ხელს უწყობს როგორც მთავრობა, ისე—განსაკუთრებით—ქალაქის თვითმმართველობა და თვითონ მუშებშიაც დიდი ნდობა აქვს მოპოვებული კოოპერაციებს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ავსტრალიის კოოპერაციებს. აქ კოოპერაციების განვითარებას არ შეხვედრია ის დაბრკოლება, რომელიც შეხვდა ევროპაში. ავსტრალიაში თვითონ მთავრობა (რომელშიაც დიდი გავლენა აქვს მუშებს) ჩაუდგა თავში კოოპერატიულ მოძრაობას და დაეხმარა კოოპერაციების დაარსებას. ყოველგვარ სამუშაოს ასოციაციების შემწეობით აკეთებს, შოსეები, რკინის გზა, შენობები—ყველაფერი კოოპერაციების ხელშია.

როდესაც მთავრობა განიზრახავს რისიმე გაკეთებას, შეადგენს დაწვრილებით გეგმას, მიი-

გებას, რომელსაც დებულობს კერძო მეწარმე, მერე მთელს სამუშაოს ანაწილებს რამდენსამე სექციად (ნაწილად) და თითო სექციას აძლევს იჯარით ცალკ-ცალკე კოოპერაციას. თითო კოოპერაციაში—10—50 მუშა. მუშა მუშაობს დღეში 8 საათს. ნამუშევარი შემოწმდება ყოველ თვეში და თვის ბოლოს კოოპერაციას ეძლევა ნაწილი საიჯარო ფასისა.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს კოოპერატიული წარმოება. მისი ასპარეზი თანდათან ფართოვდება და უფრო და უფრო მეტს მომხრეს პოულობს კოოპერატიული მოძრაობა. რასაკვირველია, კოოპერაციას არ შეუძლია განდევნოს კაპიტალისტური წარმოება და დაიკავოს მისი ადგილი. მაგრამ არის დარჩენილი ზოგიერთი დარგი წარმოებისა, სადაც კოოპერაციას შეუძლია მოიკიდოს ფეხი და თავიდან ააშოროს მუშებს კაპიტალისტური კლანჭები. ხოლო კოოპერაციების უმთავრესი მნიშვნელობა ისაა, რომ კოოპერაციები ზრდის მუშებს, ამაგრებს მათ ბრძოლაში და ამზადებს მომავალ წარმოებისათვის, აჩვევს თვითმმართველობას და თვითმოქმედებას, საერთო კოოპერაციას და შეთანხმებას. ბ. უები ამბობს: კოოპერატორებმა უნდა გაათართოვონ თავისი საზღვრები და თავისი წესები უნდა შეიტანონ მრეწველობის, ქალაქის, საგრაფოს და სახელმწიფოს მმართველობაში და ამით განახორციელონ დემოკრატიული თვითმმართველობა კოოპერატიულ მრეწველობისათ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოოპერაციას სასოფლო მეურნეობაში, აქ მას შეუძლია მოიპოვოს პირველობა, განდევნოს კონკურენციით კაპიტალისტურ წარმოებას. ნამეტურ დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს სასოფლო კოოპერაცია, თუ მას შეუერთებთ მიწის სოციალიზაციას, გასაზოგადოებრივებას. მაგრამ სასოფლო კოოპერაციაზე ცალკე მოვილაპარაკოთ.

ჭ.

თუმცა ხმას უმეტესობით დასწრების ნება დართეს, მაგრამ 3—4 დეპუტატმა აღიმაღლა ხმა ამის წინააღმდეგ და რადგან საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, დარბაზიდან დემონსტრატიულად გავიდნენ,-- ვიდრე გარეშე პირნი იმყოფებიან, ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთო. როგორ იყო, ესენი ისევ დააბრუნეს დარბაზში და გარეშეთ კი სთხოვეს ვიდრე ამ საკითხს, ე. ი. მათი დასწრების შესახებ, საბოლოოდ გადასწყვეტავდნენ, დარბაზიდან გასულიიყვნენ. მთელი 3 საათი მოანდომეს ამაზე კამათს და გადაწყვეტილება არც კი აცნობეს გარეშეთ, ვიდრე ისევ თვით არ მოითხოვეს პასუხი. არც პრესის წარმომადგენლებს დართეს ნება დასწრებისა, თუმცა ამათაც ითხოვეს.

მერე? რა საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი, რომ ასე საიდუმლოდ მოახდინეს კრება და კარებზე მცველი დააყენეს? საქმე შეეხებოდა თელავის სასულიერო სასწავლებელს. მკითხველს მოეხსენება, რომ 20 ივნისს და 8—9 აგვისტოს თელავში სამღვდელოების კრებებმა პირველად სასწავლებლის შესანახი ხარჯთაღრიცხვა არ განიხილა, რადგან მას დაკეტილად ვცნობთო და მეორეთ—კიდევ დაადგინა, ჩვენ შვილებს სასწავლებელში ნუ მივიყვანთ, ძალა-უნებურად დაიკეტოს, ვიდრე რეფორმებს არ მოახდენენო.

თუმცა სამღვდელოების კრებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სასწავლებელს, მაგრამ თითქმის ყველამ შვილები მოიყვანა და სწავლა დაიწყო, რასაკვირველია, ძველის პროგრამით. მხოლოდ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ, მთავრობის მოწერილობის თანახმად, შეიმუშავა ახალი პროგრამა, მაგრამ ექსარხოსს მოეწერა, სამღვდელოებამ უნდა შეიმუშაოს და ითხოვოს რეფორმებიო, რისთვისაც კრება დანიშნა ამ დღეს.

აი, ამ საგანზე იყო მოწვეული კრება და ამის გარდა კერძო საკითხებიცა ჰქონდა განსახილველად და რადგან ასე მალულად და ფარულად მოახდინეს კრება, ეჭვი იბადება, ალბად, ჩვენ სამღვდელოების უმრავლესობას მაინც ცალმხრივ ჰსურს საქმის გადაწყვეტა, თორემ აქ რა არის დასამალი და დასაფარავი?!

დიმიტრაშვილი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ძ. თელავი, 20 ენკენისთვეს თელავის საქალაქო სკოლის მოსწავლეები გაკვეთილების დაწყების წინ გარედ გავიდნენ, მოითხოვეს ინსპექტორი და გადასცეს თავიანთ მოთხოვნანი. სახელდობრ: ჩვენ, მოსწავლენი საქალაქო სასწავლებლისა, გავიფიცეთ განუსაზღვრელ დრომდე, ე. ი. ვიდრე არ აგვისრულებენ ჩვენ მოთხოვნილებებს: 1) საყოველთაო უფასო სწავლება; 2. სწავლის პროგრამის გაფართოვება, რათა გამოუცდელთ შეგვეძლოს გადასვლა საშუალო სასწავლებლებში; 3. ნაციონალურ (?) და რელიგიურ ჩვეულებათა (обрядъ). მოსპობა სკოლაში; 4. გადასასვლელ ეგზამენის მოსპობა; 5. თავისუფლება სიტყვისა და თავისუფლად სიარული თეატრებსა და საზოგადო კრებებში, 6. თავაზიანი მოპყრობა მასწავლებლებისა; 7. ბიბლიოთეკის გაფართოვება და ჟურნალ-გაზეთების გამოწერა რუსულ-ქართულ და სომხურ ენებზე; 8. სკოლასთან დაარსდეს სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებანი; 9. საამხანაგო სასამართლოს დაარსება; 10 მოსწავლეების განთავისუფლება სკოლის გარეთ მასწავლებელთა ზედამხედველობისგან; 11. ქართულ და სომხურ ენების სწავლება, როგორც სხვა საგნებისა, ამასთან სავალდებულო იყოს ეს საგნები; 12. სამღვთო სჯულის სწავლება სურვილისამებრ და მასწავლებლად იყოს სასულიერო პირი-კი არა, ერის კაცი; 13. გალონების მოსპობა; გიმნასტიკის მასწავლებლად უნდა იყოს სამხედრო პირი და 14. გაფიცვის გამო არავინ უნდა დაისაჯოს.

ინსპექტორმა ჩამოართვა ქაღალდი და ურჩია სწავლის განგრძობა, გაზაფხულზე ყველგან გაიფიცნენ, ყველგან წარადგინეს მოთხოვნილებანი, მაგრამ აბა სად შეუსრულესო. ამაზე მოსწავლეთ მიუგეს, ვიდრე ამ მოთხოვნილებას, თუ სულ არა, ზოგიერთ მუხლებს მაინც არ შეასრულებთ, სწავლას ვერ დავიწყებთო, გამობრუნდნენ უკან და სიმღერით გაემართნენ ბაზრისკენ, გავიდნენ ქალაქ გარედ და იქ-კიდევ მოილაპარაკეს. არც მეორე დღეს მისულან.

დიმიტრაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: ეგრედ წოდებულ გორის მაზრის თავად-აზნაურთა მილიციის დაარსების ინიციატორებმა, სხვათა შორის, მეც მიმიწვიეს. იმათმა ათასნაირმა გეგმამ საზოგადოების სიკეთისთვის მაკისრებინეს ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ თან და თან შევიტყე, რომ შევცდი და დავინახე როგორ ეწინააღმდეგებოდა მათი ქცევა მათ სიტყვებს და ჩემს რწმენას. ვაცხადებ, რომ არავითარი კავშირი აღარა მაქვს ზემო მოხსენებულ მილიციასთან.

სოფელ ქვემო-ხვედურეთის მცხოვრები **სტუდ. ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილი.**

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

23 სექტემბერი

პეტერბურგი, 23 სექტემბერი. დღეს შეიკრიბნენ პეტერბურგის კონსერვატორიის შაგირდები და გამართეს ყრილობა, რომელსაც 400 კაცზე მეტი დაესწრო; დაადგინეს კონსერვატორიის გაღება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 სექტემბერი

ვენა, 21 სექტემბერი. გაუჩის მიერ წაკითხულ მთავრობის დეკლარაციაში გამოთქმულია მწუხარება და გაკიცხვა ბრიუნის არეულობების შესახებ. სასამართლოს გამოძიება დაადგენს, ვინ უნდა აგოს პასუხი და ფაქტიურ ძალას გამოძებნის არეულობების თავიდან ასაცილებელ ზომებისთვის. მომავალში, აუცილებელ შემთხვევაში, მთავრობა განსაკუთრებულ ზომებს მიმართავსო. გაუჩმა მოუწოდა ყველა პარტიებს ზნეობრივი გავლენა იხმარონ ვნებათა დასამშვიდებლად. მთავრობა უწინდებურად სამართლით მოეკიდება ყველა პარტიებს და თავის დღეში ქუჩის ხალხს არ დაუთმობსო. ამ სიტყვის დროს ცხარე შეტაკება მოხდა გერმანელებსა და ჩეხებს შორის. საჭირო შეიქნა სხდომის დახურვა.

ბერლინი. პრესსას გაცხარებული კამათი აქვს ბიულოვთან ინტერვიუს შესახებ. ბიულოვმა სთქვა, ფრანგები დაინტერესებული არიან, რომ მათ მოკავშირეს ერთი მეგობარი მეტი ჰყავდეს ისე, როგორც ჩვენ სალამს ვუძღვნით საფრანგეთ-იტალიის მეგობრობასო.

პარიჟი. „ეკო“-ს სიტყვით, ბიულოვთან ინტერვიუმ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ტოკიო. ზავის საწინააღმდეგო აგიტაცია დასრულდა. იწყება მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლა. კომიტეტს დიდი ბრძოლა მოელის პარლამენტის გაღების დროს.

ლონდონი. კონსერვატორების კლუბში ვაჭრობის მინისტრმა ლიტმა განაცხადა შესახებ ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულობისა, რომ ინგლისს არავითარი აგრესიული მისწრაფება არ აქვს შუაგულ აზიაში.

სტამბოლი. ხმებია, რომ ოსმალეთს განზრახვა აქვს უკანასკნელ წამამდე გაუწიოს წინააღმდეგობა მაკედონიაში საერთაშორისო საფინანსო კონტროლის შემოღებას; ამას იმიტომ შვრება, რომ მას იმედი აქვს, სახელმწიფოები არ იხმარენ ძალასო. რუმინიის ელჩმა პროტესტი განუცხადა პორტას მაკედონიაში ბერძნების რაზმის ვლახ-ვაჭრებისთვის თავდასხმის წინააღმდეგ.

პეტერბურგი. ვისლის პირას მხარეში 20 სექტემბერს 9 კაცი გახდა ავად ხოლერით; ამათში 3 მოკვდა კიდეც. საბაიკალის ოლქს შიში მოელის შავი ჭირისაგან.

პარიზი. პროფესორი ბირინგი აცხადებს „მატენში“, რომ მის მიერ „ტუბერკულოზ“-ის წინააღმდეგ გამოგონილი საშუალება არც სითხეა, არც ვაკცინა. მოხსენებას ის მხოლოდ 1906 წ. აგვისტოში წარადგენს.

მიტავა. გენ. გუბერნატორი აცხადებს, რადგანაც გუბერნიის ორს მაზრაში სრული სიმშვიდეა, ამიტომ მას შესაძლოდ მიაჩნია შეუმსუბუქოს მცხოვრებთ მდგომარეობა ომიანობის დროის დებულების შემავიწროვებელ ზომების გაუქმებით. ამასთან ის იმედს აცხადებს, რომ სხვა მაზრებიც დაწყნარდებიან და ამით საშუალებას მისცემენ მათაც მოხსნას შემავიწროვებელი ზომები.

ნოვოროსიისკი, 22 სექტემბერი. დღეს, ღამის პირველ საათზე ქვესკნელში გრგვინვა გაისმა და შეინძრა კიდევ დედამიწა.

ვილნო. რადგანაც ქუჩებში დემონსტრაციები არ ისპობა, არ იშლიან ტყვიებისა და ქვების სროლას, ამიტომ გუბერნიის მმართველი ადგილობრივ გაზეთების საშუალებით მოუწოდებს საზოგადოებას, ნუ შეერევიან ბრბოში, სთხოვს მშობლებს აუკრძალონ თავიანთ შვილებს, რომელნიც მუდმივი მონაწილენი არიან წესიერების დარღვევისა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკი ზომები იქნება მიღებულიო.

ცარიცინი, 22 სექტემბერი. დღეს გაიხსნა „პეტერბურგის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის სააგენტო“.

22 სექტემბერი.

ბაქო. სამხედრო სასამართლომ უბნის ზედამხედველის მიქელაძის მკვლელ ჯორჯიას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა,

ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა ცუდათაა. შარშან დეფიციტი იყო ნახევარი მილიონი. ქალაქის ვალი 1,300,000 მანეთამდე ავიდა. კასსაში ფულები აღარაა. შემონახული თანხა დაიხარჯა. მოსამსახურეებს, არ იციან სიდან მისცენ ჯამაგირი. საავადმყოფოებს საზრდო არ მოეძებნებათ. ჯარების შენახვას დიდი ხარჯი მოუნდება. ქალაქი ნახევარ მილიონს მან. სთხოვს მთავრობას სესხებლად ისე, რომ უკან აღარ მოითხოვოს.

ვაილკოვი. დაარსდა კომიტეტი ებრაელების ინტერესების დასაცველად სათათბიროში წარმომადგენელთა არჩევის დროს.

ვარშავა. სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა იოსებ ორიმას, რომელსაც ვაზის-რუსის მოკვლა ედებოდა ბრალად.

პეტერბურგი. ბაქოს ნავთის მრეწველებს სამი საკითხი წარუდგინა სტატს-სეკრეტარმა კოკოვცევმა გასარჩევად: 1. რა საშუალებით უნდა მოეგვარდეს ნავთის მრეწველობის საქმე, 2. რა გზით უნდა იშოვნონ საწვავი მასალა რუსეთის სამრეწველოებისთვის და 3. როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ასეთი ამბები კვლავ აღარ განმეორდეს. მესამე საკითხის გარჩევას მშრომელ მასსის წარმომადგენელნიც დაესწრებიან; ამ წარმომადგენლებს ირჩევენ ბაქოში. რის გამოც მათ დაიგვიანეს. სხდომის გადადება შაბათისთვის ითხოვეს მრეწველთ, რადგანაც ჯერ არაა დაბეჭდილი წერილები განსახილველ საკითხების შესახებ. სხდომა გადაიდო.

მოსკოვი. რექტორმა დროებით იმისათვის დახურა უნივერსიტეტი, რომ სტუდენტების ყრილობაზე გარეშე პირები დაესწრნენ, რიცხვით 3 ათასამდე. ხალხი მეტად აღელვებული იყო. რექტორის აზრით გარეშე პირთა ასეთი კრება საშიში იყო, როგორც უნივერსიტეტის, ისე დამსწრეებისთვის. მოუწოდა საბჭოს კომისიას, რომელმაც გადასწყვიტა დროებით დახურულიყო უნივერსიტეტი. დილის 12 ს. შეიკრიბნენ ათას ხუთასზე მეტი სტუდენტი და სთხოვეს რექტორს დეპუტაციის პირით ყრილობის ნებართვა. ყრილობამ 3 საათს გასტანა. მივიდა რექტორი და წინადადება მისცა სტუდენტებს, კვლავ ნუღარ შემოუშვებთ გარეშე პირთაო. მაგრამ ამ ყრილობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ამიტომ სტუდენტებმა სთხოვეს რექტორს, ნება დაგვრთეთ შევიკრიბოთ ამ დღეებში თქვენ მიერ დაყენებულ კითხვის გასარჩევადო. რექტორმა უპასუხა, საბჭო გადასწყვეტს ამ საკითხს და გაცნობებთო. უნივერსიტეტი გაიხსნება არა ადრე შაბათისა ან სამშაბათისა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარები დაუგზავნა გუბერნატორებს და წინადადება მისცა, ეცადეთ, რომ ამომრჩეველთა სია გამოცხადდეს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა და ზომები მიიღეთ, რომ სკრობო უფროსებმა და პოლიციელებმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ არჩევნების დროსო.

24 სექტემბერს, დილის 9 საათზე, მუშხანების ქუჩაზე დაინგრა 5 სართულიანი სახლი, რომელსაც ახლა აშენებდნენ. დაიმარხა 100 მუშა, ამოიღეს 7 გვამი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 სექტემბერი

ბერლინი. ოფიციოზად გამოცხადდა, რომ ფუნდგუკიდან მოსულ ცნობებს ბურების შეთქმულების აღმოჩენის შესახებ სიფრთხილით უნდა მოეპყრონ.

პრაგა, 22 სექტემბერი. 27 სექტემბერს უნდა გაიხსნას ბოჰემიის ლანდტაგი. როგორც სხვებს, ისე ამ ლანდტაგსაც წარუდგენენ განსახილველად საკითხს საარჩევნო უფლების რეფორმის შესახებ. სოციალისტებმა მიმართეს მოწოდებით ბოჰემიის ყველა პარტიებს, მონაწილეობა მიიღეთ მშვიდობიან დემონსტრაციაში, რომელიც ლანდტაგის გახსნამდე უნდა გაიმართოსო. ამის შემდეგ დეპუტაცია ჩააბარებს ლანდტაგის პრეზიდენტს აუარებელ პირების მიერ ხელ-მოწერილ პეტიციას საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების შესახებ. სოციალისტები სიტყვას იძლევიან, რომ დემონსტრაციის არავითარი უწესობა არ მოჰყვება. დემონსტრანტთა რიცხვი ლდემდე 50 ათას კაცამდე ავიდა.

ლონდონი. „სტანდარტ“-ი გულახდით ამბობს ინგლის-რუსეთის დაახლოვების საურთიერთო სარგებლობაზე. „უნდა აღვიაროთ—ამბობს გაზეთი,—რომ თავს დავაღწევთ იმ მძიმე ტვირთს მუდმივის წუხილისას, რომელიც გამოწვეულია მუდამ იმაზე ფიქრით, რომ აი დღეს, აი ხვალ რუსეთი დაეცემა ჩვენს სამფლობელოებსა და კვლავ აღარ დავუწყებთ რუსეთს მტრულის თვალით ცქერასო. ჩვენ რომ შეგვეძლოს ერთი-მეორეს დავენდოთ, ორივეს მეტი ძალა და ძლიერება მოგვეცემოდათ.

ვარშავა. ვარშავის საქმით სამმართველოს ცნობებით, 20 სექტემბრამდე ხოლერით ავად გამხდარა 6 კაცი, რომელთაგან ორი მომკვდარა კიდეც.

კიევი, 22 სექტემბერი. გენ. კრიჟენბერგი დამით ადესას წავიდა.

23 სექტემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გუბერნატორებისთვის დაგზავნილ ცირკულიარში, სხვათა შორის, სწერია: მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის წმინდა ნება გახლავთ ყველას, ვის ხელშიაც არის არჩევნების წარმოებისთვის ყურის გდება, ყოველის ღონის ძიებით უზრუნველჰყოს მცხოვრებლებისთვის საშუალება მშვიდად, გარეშე პირის ჩაურევლად, აღნიშნოს ვის ყველაზე უფრო ენდობიან; ამიტომ მოგანდობთ, ყური უგდოთ, რომ სამსახურის პირებმა და დაწესებულებებმა არ მისცენ თავიანთ მხრივ ნება, რომ, თუნდაც შორიდანაც, ჩაერიოს ვინმე გარეშე პირი მცხოვრებლების მიერ რწმუნებულების არჩევის საქმეში; რადგანაც ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში ამ მხრივ შეიძლება გლეხები ჩავარდნენ, ამიტომ, შეატყობინეთ სეროზია უფროსებსა და პოლიციელებს, განუმარტეთ ჩემი ასეთი მოთხოვნა და აკრძალე აუხსენით, რომ არამც და არამც არ ჩაერიონ არჩევნების საქმეში არც ერთ საფუძველზე და მოიქცნენ სრულიად უანგაროდ. ერთის მხრივ ასე უნდა მოიქცნენ თქვენი ხელქვეითნი, მაგრამ მეორეს მხრით ისინი ვალდებული არიან თვალი ადევნონ, რომ გარეშე პირნი, რომელთაც არ ექნებათ ნება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, არას გზით არ ჩაერიონ არჩევნების საქმეში, სადაც უნდა იყოს, არც საარჩევნო სიაზედა და საარჩევნო ნაწილებში და არც ვოლოსტების ყრილობაზე; ამათ არ ექნებათ ნება დაესწრონ არც ერთ ზემოხსენებულ კრებას, რადგანაც ამის ნება მხოლოდ თავმჯდომარესა და ამ კრებების წევრებს აქვთ (მე-27-ე მუხ. ძალით). თუ ვინიცობაა, პოლიციამ შეამჩნია ან გაიგო სადმედან, რომ ასეთი პირნი არიან და არის ასეთი შემთხვევები, ის ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს არჩევნების შესახებ დანიშნულ სათანადო კომისიებს, რომელნიც სახეში მიიღებენ ამისთანა ფაქტებს, არჩევნების წარმოების საქმეს როცა განიხილვენ. (დებულება არჩევნების შესახებ მუხ. მე—46—ე.)

ლონდონი. საზღვაო სამინისტროში განაზრახეს სამხედრო მინისტრის არნოლდ ფორსტერის მოკვლა, მაგრამ მებაღემ დროზე შეამჩნია მინისტრის კაბინეტის ფანჯარასთან დადებული ბომბა და აიღო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

გამოსაღები ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93,85
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,65
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	1/4—7%
4% სახელმწიფო რენტა	89 1/
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1905 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84 1/2
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	462
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	358
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	286 1/
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	90 3/8
5 1/2% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5 1/2%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	83 5/8
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	86
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია	202

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ.-მგზავ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 429/3 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

ზორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

საბაღოსნო დაწესებულება

პ. ი. ავსარქისოვისა

ჰყიდის საზღვარ-გარეთულ, რუსულ და ქართულ ჯიშის ხეხილის ნერგებს.

ადრესი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება

(5—872—3)

ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის თვიდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მოვალეებისაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 145.

(წ.)

სკოლა და სახელოსნო

ჭრა-კერვისა და ხელსაქმისა გადავიდა

მამადავითის ქუჩაზე, გრიგოლაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 5

მიიღებენ ქალთა ტანისამოსს შესაკერად აგრეთვე შეგირდებს ჭრა კერვისა და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში.

სკოლა სახელოსნოს გამგე ანა მერკვილაძისა.

(7—5)

ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი აცხადებს, რომ სწავლა უთუოდ დაიწყება პირველ ოქტომბრიდან. თხოვნების მიღება ყოველ დღეს შეიძლება პირადად და ფოსტით.

(3—6.—1)

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ღვინობისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კ ი ო ს კ შ ი

ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდებ. ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა მ. კ.—პოემა ბაჩანასი	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელეთ, მოთხრობა—მელანიასი	— 20
აღ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის გუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ყანგულოვისა	1 —

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება მისი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ბანკის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში.

(25—25)

Доз. ценз. Тифлисъ, 23 Сентября 1905 г.
НОВ. ГРУЗ. ИЗД. Т—ВА. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბა